გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთია

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№114 (1009) 21 - 23 ნოემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ქუთაისის შემოვლითი გზა ადგილობრივ მოსახლეობას დამატებით შემოსავალს გაუჩენს

გვ. 6

ვინ წავა კომპრომისზე

დაპირისპირება პარლამენტში უკანონო მოსმენებზე გამართულ დახურულ სხდომაზე

მერაბ ტურავა: „ახალი პროექტი ყველაზე სწორი, ოპტიმალური და პროგრესულია — ერთი გასაღები რჩება შს სამინისტროს, მეორე კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს გადაეცემა“

როგორ დაგვიცავს რამდენიმემილიონიანი ელექტრონული სერვერი უკანონო მოსმენებისგან და რა უფლებები მიენიჭება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს

გვ. 4-5

ექსკლუზივი

ბერძენი მამა იოანე ათენის მახლობლად მამა გაბრიელის სახელობის ტაძრის აშენებას აპირებს

გვ. 9

აფხაზეთის ომის შემზარავი ქრონიკები

გვ. 7

როგორ გადმოუსვენა აფხაზმა პატიმარმა ქართველს გაღიდან მამა

პატიმრის დღიური

„აჭარაბეთის“ 80-მილიონიანი „წაგება“

სქემა, რომლითაც კაზინოები გადასახადებს მალავენ

გვ. 3

სამთო სადაზვერვო ბატალიონი ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნდა

სპეციალური ოპერაციების ძალების სამთო სადაზვერვო ბატალიონი ავღანეთიდან დაბრუნდა. ქართველი სამხედროები ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში 7 თვის განმავლობაში ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე მსახურობდნენ.

146 სამხედრო მოსამსახურეს სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაური ალექსეევკის სამხედრო აეროდრომზე დახვდა. ვიცე-პოლკოვნიკმა, დიმიტრი კიკნაძემ ჯარისკაცებს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება მიულოცა და ISAF-ის მისიის წარმატებით შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა.

ავღანეთში ქართველი სამხედრო მოსამსახურეები, კოალიციურ ძალებთან ერთად, სრული სპექტრის ოპერაციებს ასრულებდნენ. ქართველი სამხედროები სამშობლოში უდანაკარგოდ დაბრუნდნენ.

სამთო-სადაზვერვო ბატალიონი ბოლო ქართული ქვედანაყოფია, რომელმაც ISAF-ის მისიის ფარგლებში, ყანდაღარის პროვინციაში საბრძოლო დავალებები საქართველოს დროშის ქვეშ შეასრულა.

„პირველი“

მთავრობა დევნილებისთვის ახალ პროექტს იწყებს

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დევნილი მოსახლეობისთვის ბინების შეძენის მიზნით, უახლოეს დღეებში, მენაშენეთა კონკურსი ცხადდება. ეს გადაწყვეტილება, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით გამართულმა ეკონომიკურმა საბჭომ მიიღო.

კონკურსში მონაწილეობა იმ მენაშენეებს შეეძლებათ, რომლებიც დედაქალაქში საქმიანობენ. პროექტი გრძელვადიანია და რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელდება. პირველ ეტაპზე, მშენებარე სახლებში დევნილებისთვის ბინებს შეისყიდიან. მეორე ეტაპი კი გულისხმობს, ამავე მიზნით, წლების წინ შეჩერებული მშენებლობებისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენას და მათ გააქტიურებას.

ეკონომიკური საბჭოს წევრებმა დევნილთა და განსახლების მინისტრის სოზარ სუბარისგან მოისმინეს ინფორმაცია პროექტის – „სოფლის სახლი“ მიმდინარეობის შესახებ, რაც დევნილებისთვის სოფლად სახლის შეძენას ითვალისწინებს. სუბარის განმარტებით, უკვე შემოსულია 350 განცხადება, რომელთა დიდი ნაწილი წლის ბოლომდე დაკმაყოფილდება. სოზარ სუბარის განმარტებით: **„ეს მნიშვნელოვანი პროექტია. დევნილები თავად არჩევენ სახლებს სოფლად, თავისი ინფრასტრუქტურით, სახნავ-სათესი მიწით და ხშირ შემთხვევაში მსხვილფეხა საქონლით. ასე რომ, მათ არსებობისა და ოჯახის რჩენის შესაძლებლობაც უჩნდებათ“.**

„პირველი“

ოქტომბერში დანაშაულის მაჩვენებელმა 17%-ით იკლო

შსს ოქტომბრის და 10 თვის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით, 2014 წლის ოქტომბერში რეგისტრირებულია 2283 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა – 1555. დანაშაულის გახსნის პროცენტია 68,11, ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დანაშაულის პროცენტული კლებაა -17,94%.

2014 წლის იანვარ-ოქტომბერში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით, რეგისტრირებულია 22086 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა – 14369. დანაშაულის გახსნის პროცენტია 65,06%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დანაშაულის პროცენტული კლებაა —16,67%.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ზაზა ჯ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 7 ნოემბერს ქუთაისში, ჭახათის დასახლებაში, ურთიერთშელაპარაკებისას, ტაქსის მძღოლს, 1954 წელს დაბადებულ ივანე რ-ს ბლაგვი საგნით სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ივანე რ. მიყენებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. პოლიციამ ცხედარი მომხდარიდან რამდენიმე საათში ავტომობილში აღმოაჩინა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად ზაზა ჯ. ქუთაისში დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

სასაზღვრო პოლიციამ საბაჟო საზღვარზე წესის დარღვევით შემოტანილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქრო ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, მალულად გადმოტანის ფაქტზე, საქართველოს მოქალაქე, 1981 წელს დაბადებული ფარიზ კ. სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა ფარიზ კ-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტობუსის ჩხრეკისას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქროს საიუველირო ნაკეთობები ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 585 სინჯის ოქროს სამკაულები, საერთო წონით – 1 კილო და 48 გრამი, რომელთა საბაზრო ღირებულება 59 450 ლარს შეადგენს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ოქროს ნაკეთობები საბაჟო კონტროლის გვერდისავლით, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში უკანონოდ შემოიტანა.

გამოძიება დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის საქართველოს საბაჟო საზღვარზე საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, მალულად გადმოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით). გამოძიებას შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

„რელიგიის ლიდერების ვალია, ვუპასუხო გავცეთ პროვოკაციებს, რომელიც სარწმუნოების ნიადაგზე ჩნდება“

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ქართველებისა და მუსლიმანური სამყაროს წარმომადგენლების ურთიერთობაზე ისაუბრა. ბაქოში, ეუთო-ს ორგანიზებით გამართულ რელიგიური ტოლერანტობისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე უწმინდესმა ბრძანა, რომ მუსულმანური სამყარო ქართველებისთვის მეზობელზე მეტად ახლობელია. მან ასევე აღნიშნა, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ, მიზანმიმართულად შექმნან დაპირისპირების კერა და დაარღვიონ საუკუნოვანი ტოლერანტული სივრცე: **„ჩვენი, რელიგიის ლიდერების ვალია, ვუპასუხოთ პროვოკაციებს, რომელიც სარწმუნოების ნიადაგზე იჩენს თავს. ამ შეხვედრის ერთ-ერთი მიზანი, ალბათ, ისიც არის, რომ გაერთიანებული ძალით ვიმოქმედოთ, რათა არსებული პრობლემები დავძლიოთ და პრევენციული ნაბიჯებიც გადავდგათ. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მის აღმატებულებას, შეიხ ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს, რომელთანაც მრავალწლიანი მეგობრობა მაკავშირებს. მან არაერთხელ ითამაშა დიდი როლი კრიზისული ვითარების განმუხტვაში და ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებაში. იგი ამიტომაც დაჯილდოვდა საქართველოს ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენებით. ასევე გამორჩეულია აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ბატონ ილხამ ალიევის როლი ქვეყნებს შორის განსაკუთრებით კეთილი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ვიმედოვნებთ, მათი მზრუნველობა მომავალშიც არ მოაკლდება აქ მცხოვრებ ქართველებს, როგორც მუსლიმებს, ისე მართლმადიდებლებს“.**

პატრიარქმა საქართველოში, მუსულმანების მიმართ კეთილგანწყობაზეც გაამახვილა ყურადღება და ბრძანა, რომ საქართველოში რელიგიური უმცირესობები საქმიანობაში თავისუფალნი არიან: „მე ვარ იმ ქვეყნის სულიერი ლიდერი, რომლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის, ანუ მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის, 20 საუკუნეა, ცხოვრების წესადაა ქცეული ღვთის მცნება: **„შეიყუარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა...“** და მეორე, მსგავსი ამისი: **„შეიყუარე მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“**, რაც გულისხმობს იმას, რომ საკუთარი თავივით უნდა შევიყვაროთ ნებისმიერი ადამიანი განურჩევლად რწმენისა, ეთნიკური წარმომავლობისა, სქესისა და ასაკისა... ამგვარმა დამოკიდებულებამ განაპირობა საქართველოში მკვიდრი სხვა ერისა და რელიგიის წარმომადგენელთა კეთილგანწყობაც ქართველებისადმი და ისიც, რომ ორივე მხარე მუდამ უფრთხილდებოდა და პატივს სცემდა სხვის სარწმუნოებას და ურთიერთმეგობრობას, რაც ქმნიდა უნიკალურ ტოლერანტულ გარემოს. ტრადიცია დღესაც გრძელდება... თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში 300-ზე მეტი მეჩეთი და ჯამე ფუნქციონირებს, ნათელი დადასტურებაა მუსლიმებისადმი ჩვენი კეთილი დამოკიდებულებისა“.**

„პირველი“

ემზარ კვიციანის გასათავისუფლებლად ხელისუფლებას ვადა პირველ დეკემბრამდე მიეცა

„ქართული ოცნების“ ოფისთან ემზარ კვიციანის მხარდამჭერებისა და ახლობლების აქცია გაიმართა. როგორც კვიციანის დამ, ნორა კვიციანმა განაცხადა, თუკი პირველ დეკემბრამდე ხელისუფლება მის ძმას არ გაათავისუფლებს, პროტესტის სხვა ფორმებს მიმართავს: **„დავჯდები გმირთა მოედანზე გმირების მემორიალთან და ვილოცებ. სადაც მე ვიქნები, ეს აქციები ყველგან იქნება. ჩემი ძმა სასჯელს ქვეყნის სიყვარულისთვის იხდის“.**

კვიციანის საქმესთან დაკავშირებით, განცხადება გაავრცელა სასამართლომ და ყველა დაინტერესებულ პირს მოუწოდა, სასამართლოზე ზეწოლისშემცველი განცხადებების გავრცელებისგან თავი შეიკავონ: **„2014 წლის 17 ნოემბერს პირველი ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა პროკურატურის მიერ ემზარ კვიციანისთვის წარდგენილი ბრალის შესახებ. კვიციანს ბრალად ედებოდა უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა და ხელმძღვანელობა, შეთქმულებასა და ამბოხში მონაწილეობა. წარმოდგენილი მასალების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, სასამართლომ იგი დამნაშავედ სცნო და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამ გადაწყვეტილებას არაერთგვაროვანი შეფასებები მოყვა და ითქვა ისიც, თითქოს მასში პოლიტიკური მოტივი იკვეთება. სასამართლო ხელისუფლება იმედს გამოთქვამს, რომ შეწყდება სააპელაციო სასამართლოს მისამართით ზეწოლის შემცველი განცხადებები და საზოგადოება და პოლიტიკოსები ერთად დაელოდებიან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას“.**

„პირველი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„აჭარაბეთის“ 80-მილიონიანი „წაგება“

ბიზნესმენ თემურ უგულავას დაჯარიმების ვერსიები

სქემა, რომლითაც კაზინოები გადასახადებს მალავენ

ონლაინკაზინო „აჭარაბეთს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ამოწმებს. ამ ფაქტს საგამოძიებო სამსახურში ადასტურებენ და აცხადებენ, რომ გამოძიება 218-ე, ანუ გადასახადებისგან თავის არიდების მუხლით მიმდინარეობს. „აჭარაბეთისა“ და მისი ბრენდის ქვეშ არსებული კომპანიების შემოწმება დიდი ხანია დაიწყო. ჯერ კიდევ თვენახევრის წინ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ონლაინკაზინო 10 მილიონი ლარით დააჯარიმა. არც მაშინ და არც ახლა, საგამოძიებო სამსახურში დეტალები არ გაუმჟღავნებიათ — აცხადებენ, რომ ეს კომპანიის კომერციული საიდუმლოა. კომენტარისგან თავს იკავებს „აჭარაბეთის“ მფლობელი, ბიზნესმენი თემურ უგულავა. გავრცელებული ინფორმაციით, ონლაინკაზინო ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ამჯერად 70 მილიონი ლარით დააჯარიმა. მთლიანობაში, თუ ორი თვის ჯარიმას შევკრებთ, გამოდის, „აჭარაბეთი“ 80 მილიონი ლარით დააჯარიმეს, თუმცა საგამოძიებო სამსახურში ჯარიმის ოდენობას არ ადასტურებენ და არც ამ თემაზე აკეთებენ კომენტარს.

იმის გამო, რომ ონლაინკაზინო „აჭარაბეთის“ დაჯარიმებასთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და კაზინოს წარმომადგენლები ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებენ, „ვერსია“ შეეცადა, გაერკვია, რეალურად რის გამო დაჯარიმდა „აჭარაბეთი“ 80 მილიონი ლარით. მოპოვებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ორი ვერსია გამოიკვეთა. ერთის მიხედვით, საქმე პოლიტიკურ ვენდეტასთან გვაქვს; მეორე ვერსია კი, ონლაინკაზინოებისთვის სპეციალურად შექმნილ ელექტრონულ პროგრამას უკავშირდება, რომლითაც დიდი ოდენობით გადასახადების დამალვაა შესაძლებელი.

ვერსია I: „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა თემურ უგულავას სამაგიერო გადაუხადეს — 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ პირველი ყრილობის გამართვა სპორტის სასახლეში უნდოდა. თემურ უგულავამ უარი განაცხადა და არ მიაქირავა. შესაბამისად, ყრილობა ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა. კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან მეორე დღესვე, თემურ უგულავას დაურეკეს და პირდაპირ უთხრეს, სპორტის სასახლის გაქირავებაზე უარს მწარედ განანებთ და არ შეგარჩენთო. წყაროს ინფორმაციით, მიზეზი, რის გამოც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ონლაინკაზინო „აჭარაბეთს“ ჩაუჯდა, პოლიტიკურ ვენდეტას უკავშირდება. ცხადია, ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება, თუმცა ფაქტია — „აჭარაბეთი“ დღეს კვლავ უგულავას მფლობელობაშია, მისთვის ბიზნესი არავის წაურთმევია და კაზინოში თუნდაც შურისძიების მიზნით შესულ საგამოძიებო სამსახურს, დარღვევები რომ არ დახვედროდა, 80 მილიონი ლარით არ დააჯარიმებდა. ამ ფონზე, მეტად სავარაუდოა, რომ კაზინოს დაჯარიმების რეალური მიზეზი სწორედ მეორე ვერსიაა და საკითხის პოლიტიკურ ჭრილში განხილვა ვიღაცის ინტერესებში შედის.

ვერსია II: არაოფიციალური ინფორმაციით, ონლაინკაზინოები „პოკერის“ თამაშისას „ბოტების“ სისტემას იყენებენ. „ბოტი“ ანუ რობოტი, სპეციალურად შექმნილი კომპიუტერული პროგრამაა. „ბოტის“ სისტემას ონლაინ-კაზინოების მფლობელები ევროპის ქვეყნებშიც იყენებენ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე საზოგადოების თანხმობაც არსებობს და სისტემაც საგულდაგულოდაა შემოწმებული. როდესაც „პოკერის“ მაგიდაზე თავისუფალი ადგილია, „ბოტის“ სისტემას იყენებენ, რათა თამაში შედგეს და არ ჩაიშალოს. თუმცა ქართული რეალობა ევროპულისგან მკვეთრად განსხვავდება, რადგან საქართველოს ონლაინკაზინოების „ბოტებმა“ კარგად იციან მოწინააღმდეგის კარტი, მათ პროგრამასთან წვდომა აქვთ და შეუძლიათ, შემდეგი სვლა წინასწარ განსაზღვრონ. ბუნებრივია, ასეთი მდგომარეობა „ბოტებს“ უპირატესობას ანიჭებს და ხშირად იმარჯვებენ კიდეც, ონლაინკაზინოს კი საკმაოდ დიდი შემოსავალი რჩება. რაც მთავარია, „ბოტს“ შეუძლია, ერთდროულად, 50-ზე მეტ მაგიდაზე ითამაშოს, რაც ონლაინკაზინოს მფლობელებისთვის ძალიან მომგებიანია. განვითარებულ ქვეყნებში სათამაშო ბიზნესს სახელმწიფო რეგულაციის სამსახური აკონტროლებს. შესაბამისად, იქ „ბოტის“ სისტემის გამოყენება მოთამაშეებისთვის დიდ რისკს არ წარმოადგენს, რადგან იციან, რომ ოდნავ საეჭვო ფაქტსაც კი რეაგირება მოყვება.

რა სახის გადასახადებს იხდიან სათამაშო ბიზნესის მფლობელები და რამდენად შესაძლებელია, ონლაინკაზინოს მფლობელმა გადასახადები დამალოს, რაც მისი დაჯარიმების საფუძველი გახდება? „ვერსია“ ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია „აფბას“ პრეზიდენტს, **ნოდარ ჭიჭინაძეს** დაუკავშირდა.

— რა ტიპის გადასახადებს იხდის კაზინოს ან ონლაინკაზინოს მფლობელი?

— სათამაშო ბიზნესის ერთ-ერთ სახეს, კაზინოს, ორ ნაწილად გავყოფ: ჩვეულებრივი, სადაც მსურველები შედიან და თამაშობენ და ონლაინკაზინო. კაზინოები გადასახადებისგან გათავისუფლებულია, მფლობელები მხოლოდ სანებართვო მოსაკრებელს იხდიან, რაც გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით განსხვავდება. რაც შეეხება ონლაინკაზინოს, ისინი ზუსტად ისევე იბეგრება, როგორც სხვა ჩვეულებრივი ბიზნესი. შესაბამისად, ონლაინკაზინოს მფლობელი იხდის მოგების, საშემოსავლო და დამატებითი ღირებულების (დღგ) გადასახადებს. ონლაინკაზინოს გახსნის უფლება აქვს პირს, რომელიც კაზინოს ლიცენზიას ფლობს. მაგალითად, კაზინო „აჭარის“ მფლობელს, რომელსაც აქვს კაზინოს ლიცენზია, უფლება ჰქონდა ონლაინკაზინო „აჭარაბეთიც“ გაეხსნა. კაზინოს ლიცენზიის გარეშე, არც ერთ პირს ონლაინკაზინოს არ დაურეგისტრირებენ.

— ოფიციალური ინფორმაციით, ონლაინკაზინო „აჭარაბეთი“ გადასახადებისგან თავის არიდების გამო დააჯარიმეს. როგორ ან რა მექანიზმით შეიძლება, სათამაშო ბიზნესის მფლობელმა გადასახადები დამალოს?

— რადგან გადასახადების დამალვაზეა საუბარი, კაზინო „აჭარა“ უნდა გამოვრიცხოთ და მხოლოდ ონლაინკაზინო და ტოტალიზატორი „აჭარაბეთი“ ვიგულისხმოთ — თუ კაზინოს მფლობელი არ გადაიხდიდა სანებართვო მოსაკრებელს, კაზინოს ლიცენზიას შეუჩერებდნენ. რაც შეეხება გადასახადების დამალვას, კანონით, ასეთი ვითარებაა, ონლაინკაზინოების შემოსავალი სახელმწიფოს მიერ არ კონტროლდება, თუმცა შესაძლოა, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გარკვეული ინფორმაცია აქვს. საინტერესოა, როგორ და რა მექანიზმით დაადგინა საგამოძიებო სამსახურმა, რომ ონლაინკაზინო „აჭარაბეთის“ მფლობელმა გადასახადები დამალა? თუ სახელმწიფო კონტროლი არ არსებობს, როგორ გავარკვიოთ რომელია კანონიერი შემოსავალი?

— თუ გსმენიათ „ბოტების“ ანუ ელექტრონული რობოტის სისტემის შესახებ და რამდენად რეალურია, ონლაინკაზინო „აჭარაბეთს“, ამ სისტემის გამოყენების შედეგად, დაემალა გადასახადები?

— ონლაინკაზინოები საქართველოში აბსოლუტურად უკონტროლოა, მათ შორის, არასრულწლოვანების რეგისტრაციის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებიც არსებობს მთავრობის მიმართ, გააკონტროლონ ონლაინკაზინოები და დაავალდებულონ, რეგისტრაცია გამჭვირვალე იყოს. რაც შეეხება „ბოტებს“, გიდასტურებთ, ასეთი სისტემა არსებობს, მაგრამ ელექტრონული პროგრამა საერთოდ რომ არ გამოიყენონ, ონლაინკაზინოებს მაინც დიდი შემოსავალი აქვთ. ჩვენ ახლა ამ მიმართულებით კვლევას ვაწარმოებთ და გარკვეული გათვლებიც გავაკეთეთ. თუ დავრეგისტრირდებით და „პოკერის“ თამაშს დავიწყებთ, ყოველი ფსონიდან 5% კაზინოს შემოსავალია, მნიშვნელობა არ აქვს, მოვიგებთ, თუ წავაგებთ. აქედან გამომდინარე, ერთი მაგიდიდან საკმაოდ დიდი შემოსავალი რჩება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველდღიურად, საკმაოდ დიდი რაოდენობის მაგიდებზე მიმდინარეობს თამაში, ონლაინკაზინოს შემოსავალი სოლიდურ თანხაზე გადის. როგორც წესი, ონლაინკაზინოებში აზარტული თამაშების ტურნირებიც იმართება. ტურნირის დათვლა ძალიან ძნელია, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ჩვეულებრივი თამაშები დავთვალეთ და თანაც მხოლოდ „პოკერის“ შემთხვევაში. ყველაზე პოპულარულ მაგიდად ითვლება ის, სადაც ფსონი 10 თეთრიდან ლარამდეა, რადგან ამ მაგიდებზე უფრო მეტი მომხმარებელი თამაშობს. ასეთი დღეში 1 000 მაგიდაა. 24 საათის განმავლობაში, ფსონი 1 500 ლარამდე ადის, თუ ამას 1 000 მაგიდაზე გადავამრავლებთ, 1 500 000 ლარის შემოსავალი გამოდის, თანაც მხოლოდ „პოკერიდან“ და მხოლოდ იმ მაგიდებიდან, სადაც ასეთი დაბალი ფსონებია. მართალია, ეს უხეში გათვლაა, მაგრამ, თუ სხვა თამაშებსა და უფრო დიდფსონიან მაგიდებსაც დავუმატებთ, გამოდის, ონლაინკაზინოს მხოლოდ ერთ დღეში, მილიონნახევარზე ბევრად მეტი შემოსავალი რჩება. ამას თუ „ბოტების“ სისტემაც ემატება, მართლაც ასტრონომიულ ციფრებზე გავალთ და პრინციპში, ეს რეალობაა. სხვათა შორის, „ბოტების“ სისტემის გამოყენებით, „აჭარაბეთის“ გარდა, თითქმის ყველა ონლაინკაზინო იღებს საკმაოდ დიდ შემოსავალს. დღეს ონლაინსივრცეში საკმაოდ დიდი ინდუსტრიაა, რადგან დილის 4 საათზე რომ შეხვიდეთ „აჭარაბეთის“ საიტზე, ნახავთ, 25 000 ადამიანია შესული, რომლებიც სხვადასხვა თამაშს თამაშობენ. სამწუხაროდ, სახელმწიფო საერთოდ არ აკონტროლებს სათამაშო ბიზნესს და რეალურად რა შემოსავალს იღებენ ონლაინკაზინოების მფლობელები, უცნობია. გარდა ამისა, ონლაინკაზინოში რეგისტრაციის პროცედურაც უკონტროლოა, არ ხდება პიროვნების იდენტიფიცირება, რაც დიდი რისკია იმისთვის, რომ ისინი კრიმინალური მიზნებისთვისაც გამოიყენონ. რაც მთავარია, საბანკო პროცედურების გვერდისავლით, ონლაინკაზინოები ფულის გადარიცხვის ალტერნატიული სისტემაა. აპარატის საშუალებით, ბანკის გვერდისავლით, საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხის გადარიცხვაა შესაძლებელი, მერე ამ თანხას ან წააგებს, ან მოიგებს, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. სწორედ ამიტომ ითხოვენ საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოს მთავრობამ სათამაშო ბიზნესი გააკონტროლოს.

ვერსიანიუსი

შსს-მ კასპის რაიონში 2005 წელს მოძებნილი მკვლელობის ფაქტი გახსნა

შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ასევე შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1973 წელს დაბადებული ირმა ნ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 2005 წელს კასპის რაიონის სოფელ ლამისყანაში, შურისძიების მოტივით, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიდან გასროლით მოკლა მეგობარი მამაკაცი. კვალის დაფარვის მიზნით, ირმა ნ-მ გარდაცვლილი მისივე ავტომანქანაში დაწვა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ირმა ნ. 2005 წლიდან დღემდე სხვადასხვა გვარ-სახელით პერიოდულად იცვლიდა საცხოვრებელს. შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, აღნიშნულ პიროვნებას ხაშურში მიაკვლიეს და ბრალდებულის სახით დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით, რაც 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

შსს-მ თაღლითობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა რუსთავში მცხოვრები, 1974 წელს დაბადებული ლია ვ. თაღლითობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მოქალაქე გელა გ-ს 2013 წელს 6600 ლარის სანაცვლოდ უნივერსიტეტ „ვიტას“ ბაკალავრის ყალბი დიპლომი, თსუ-ს მაგისტრატურის გაყალბებული ცნობა და საკვალიფიკაციო კურსების გავლის დამადასტურებელი ყალბი მოწმობა დაუმზადა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით). სასამართლომ ლია ვ-ს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

„ვერსიანიუსი“

რა ხდებოდა უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით გამართულ დახურულ სხდომაზე და რას ყვებიან პარლამენტის კულუარებში

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პარლამენტში მოსმენების შესახებ კანონპროექტი კვლავ განხეთქილების ვაშლად იქცა. 19 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე დაწყებული მედიისთვის დახურული სხდომა, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციების, შს სამინისტროს წარმომადგენლები და იურიდიული კომიტეტის დეპუტატები ესწრებოდნენ, ღამის 12 საათზე დასრულდა. საერთო აზრამდე მაინც ვერ მივიდნენ, დამსწრეთა უმეტესობამ კი პარლამენტის სხდომა უკმაყოფილო სახით დატოვა.

პარლამენტში განხილვა, ძირითადად, სამ კანონპროექტზე მიდიოდა. მათგან ერთი უმრავლესობის სამმა დეპუტატმა შეიტანა და მალევე დაარეგისტრირა, მეორე — იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ, ვახტანგ ხმალაძემ, მესამე პაკეტი კი არასამთავრობოებს ეკუთვნოდა. მანამდე, საუბარი 4 პროექტზე იყო. აქედან ერთის მიხედვით კი ე.წ. გასაღები, ანუ მოსმენების ტექნიკური საშუალებები სასამართლოს ხელში უნდა ყოფილიყო. თუმცა ეს იდეა ცალკე ინიციატივად აღარ განხილულა. ბოლო მომენტში, ცალკე ინიციატივის შეტანა კიდევ ერთმა დეპუტატმა, შალვა შავგულიძემ გადაიფიქრა და ვახტანგ ხმალაძის იდეას მიემხრო. მთავრობას პარლამენტში საკუთარი პროექტი საერთოდ არ შეუტანია, რადგან საპარლამენტო მდივნის, შალვა თადუმაძის განმარტებით, სამთავრობო პოზიცია უმრავლესობის სამი დეპუტატის კანონპროექტს დაემთხვა. რაც შეეხება განხილვის საგნადქცეულ სამ პროექტს: მათგან ერთმა, ანუ არასამთავრობოების წინადადებამ ინიციატივის სახე ვერ მიიღო — ნაციონალების გარდა, მას არავინ მიმხრობია. მაკა გიგაურის, ლაშა ტუღუშის, ზვიად ქორიძის, კახა კოჟორიძისა და ლიკა საჯაიას საკანონმდებლო წინადადების არსი მოსმენების ე.წ. ორგასაღებიან სისტემაში იყო. აქედან ერთი გასაღები ელექტრონული კომუნიკაციის კერძო კომპანიებს, მეორე კი სასამართლოს უნდა ჰქონოდა. იდეის გაჟღერებამდე, კარგი იქნებოდა, აზრი კერძო კომპანიებისთვისაც ეკითხათ — არც ისინი აღფრთოვანებულან. სამაგიეროდ, ნაციონალებმა შესთავაზეს არასამთავრობოებს, დეპუტატებისგან მხარდაჭერის არქონის შემთხვევაში, მათ წინადადებას თავად დაარეგისტრირებდნენ, მაგრამ ნაციონალებს დახმარებაზე ხელი თავად არასამთავრობოებმა უკრეს და განაცხადეს — ეს კიდევ ერთი არგუმენტი იქნება პარლამენტის მიერ ჩვენი იდეის დასაწუნებლადო. დეპუტატმა ვახტანგ ხმალაძემ საკანონმდებლო ორგანოს ე.წ. გასაღების კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიისთვის გადაცემა შესთავაზა, თუმცა მისი პროექტი მხოლოდ ერთგასაღებიან სისტემას ითვალისწინებდა. იგი ხმალაძემ 20 ნოემბერს, ფაქტობრივად, ბოლო წამებში დაარეგისტრირა. უმრავლესობის სამი დეპუტატის — ეკა ბესელიას, გედი ფოფხაძისა და ირაკლი სესიაშვილის მიერ პარლამენტში დარეგისტრირებული კანონპროექტი კი ე.წ. ორგასაღებიანი სისტემის ამოქმედებას ითვალისწინებს. აქედან ერთი გასაღები შინაგან საქმეთა სამინისტროს რჩება, მეორე კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ხელში გადადის. ეს აზრიც ორად იყოფა — ერთნი ფიქრობენ, რომ გასაღები შსს-ს ხელში კატეგორიულად არ უნდა დარჩეს, მეორენი კი ამტკიცებენ, რომ ორიდან ერთი გასაღები შსს-ს აუცილებლად უნდა ჰქონდეს. თუმცა, ალბათ, ვიდრე ქვეყნის უსაფრთხოებას კითხვისნიშნის ქვეშ დავაყენებთ და ე.წ. გასაღებს რუსულ „ბილაინსა“ და შვედურ „ჯეოსელს“ გადავცემთ, ანდაც, მარეგულირებელ კომისიას დამატებით პოლიციური ფუნქციებით დავტვირთავთ, კარგად დაფიქრება ღირს — სად მეტია საფრთხე: შსს-ს ფარულ მოსმენებზე წვდომა, ზოგადად, ჰქონდეს თუ არა. მოგვიანებით, მოსმენების თემაზე დავას პრემიერ-მინისტრიც გამოემხაურა და განაცხადა, რომ არასამტავრობო ორგანიზაციების მიზანი შსს-ს პარალიზებაა, რაშიც მათ ნაციონალები იყენებენ. უმრავლესობის კანონპროექტის შესახებ განმარტება ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის პირველმა პირმა, **ეკა ბესელიამ** გაგვიკეთა: **„ჩვენი ინიციატივით, შემოდის ე.წ. ორგასაღებიანი მოდელი და იგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტსაც აძლიერებს. დამოუკიდებელი ინსტიტუტია, მონიტორინგის განმახორციელებელი სუბიექტი, მეორე მხრივ კი ე.წ. გასაღების შს სამინისტროს ხელში დატოვება ქვეყნის უსაფრთხოების საკითხს უკავშირდება. ექსპერიმენტებს ვერ ჩავატარებთ, რადგან კერძო პროვაიდერების უკან უცხო სახელმწიფოები დგანან. თანაც, მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს პროვაიდერი კომპანიები ისედაც ვერ შეინახავენ, რადგან თავად ამბობენ, რომ სათანადო ტექნიკური საშუალებები არ აქვთ. ამიტომ ვფიქრობ, ეს ყველაზე სწორი მიდგომაა. მეტიც, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტის გაძლიერება ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებაცაა“.** კანონპროექტის თანაავტორის, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, **ირაკლი სესიაშვილის** თქმით, მიუხედავად გარკვეული კრიტიკისა, ეს პროექტი, სხვებთან შედარებით, დახვეწილია: **„არსებობს ორი მიზანი: ერთი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მეორე, ადამიანის უფლებების დაცვა. გარკვეული ხნის წინ ახალგაზრდა ბიჭი რომ გაიტაცეს, სასამართლომ მოსმენაზე ნებართვა არ გასცა, მოგვიანებით კი, დარწმუნდა, რომ უნდა გაეცა. ეს ადამიანი სწორედ ფარული მოსმენით მიღებული ინფორმაციით გადარჩა, ამიტომ ლოგიკურია კითხვა – ვინ აგებს პასუხს უსაფრთხოებაზე? თუ პოლიციას არ ვენდობით, მაშინ რატომ ვაძლევთ იარაღს და ვინ უნდა განახორციელოს საგამოძიებო-ოპერატიული საქმიანობა?! რა თქმა უნდა, შს სამინისტრომ. ამიტომ, ვითვალისწინებთ ყველას ინტერესებს და ვამბობთ — შს სამინისტრო მოსმენის ე.წ. გასაღებს ვერ გამოიყენებს, თუკი მას სასამართლოს სათანადო გადაწყვეტილება არ ექნება და პარალელურად, ამ გასაღებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორიც არ გამოიყენებს!“**

საპარლამენტო კულუარებში კი მოვლენები კიდევ უფრო საინტერესოდ განვითარებულა. როგორც „ვერსიამ“ რამდენიმე დამსწრე დეპუტატისგან გაარკვია, რეალურად, განხილვაზე გასვლის შანსი ორ კანონპროექტს აქვს. როგორც გავიგეთ, ვახტანგ ხმალაძისთვის კანონპროექტის მომზადება პარლამენტის თანაპარტიელ თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს დაუვალება. თანაც, თუკი ხმალაძე პროექტს გვიან შეიტანდა, ალტერნატიული კანონპროექტის სტატუსით დარეგისტრირდებოდა და ამ შემთხვევაში, კომიტეტს ჯერ სწორედ მისი წინადადების განხილვა მოუწევდა, შემდეგ — ფოფხაძე-ბესელია-სესიაშვილის, როგორც ვარაუდობენ, ხმალაძის პროექტი, მაქსიმუმ, 11 ხმას მოაგროვებს, თუმცა, თუ მას მხარს ეროვნული ფორუმის, ალასანიას „თავისუფალი დემოკრატებისა“ და ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებიც დაუჭერენ, ხმათა რაოდენობა 50-საც აცდება. ნაციონალების მხარდაჭერის გარეშე პროექტის კანონადქცევაც შეუძლებელია, თუკი ხმალაძეს მხარს „ოცნების“ უმრავლესობა არ დაუჭერს. უმრავლესობა კი ე.წ. სამთავრობო პოზიციაზეა. ხოლო „ნაცებთან“ ასოცირება პარლამენტში არავის აწყობს, მათ შორის — არც ხმალაძეს. მიუხედავად იმისა, რომ აღშფოთებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა განაცხადეს, უმრავლესობა ხმალაძის პროექტისკენ იხრებაო, ასე სულაც არ აღმოჩნდა. როგორც დეპუტატები ამბობენ, პარტია „ქართული ოცნება“ და კოალიციაში შემავალი დანარჩენი სუბიექტები, რესპუბლიკელების გარდა, მხარს სწორედ ბესელია-სესიაშვილის კანონპროექტს უჭერენ. შესაბამისად, საჭირო არც სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარება გახდება უმრავლესობის შიგნით, უმრავლესობის გარეთ მყოფი დეპუტატების იდეებს კი პარლამენტში „გაზომვას“ არავინ დაუწყებს. დროც არ ითმენს, რადგან სავარაუდოდ, ორივე კანონპროექტი ისედაც დაჩქარებული წესით განიხილება.

როგორც 20 ნოემბრის საღამოს დადასტურდა, ფარულ მოსმენებთან დაკავშირებული ორი, ხმალაძისა და ბესელია-სესიაშვილის პროექტების ინიცირება, ორშაბათს, 24 ნოემბერს, ბიუროს სხდომაზე მოხდება. ამის შემდეგ კომიტეტებში ალტერნატიული კანონპროექტის განხილვა დაიწყება. ბოლოს კი საკითხი განსახილველად პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გავა, რომელიც ასევე მიმდინარე კვირაში ჩატარდება.

ვერსიანიუსი

ოგბუდსმენის აზრით, გლდანის ციხის რამდენიმე თანამშრომელმა თანამდებობა უნდა დატოვოს

უჩა ნანუაშვილი მოუწოდებს საქართველოს მთავარ პროკურატურას, მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების ყველა იმ თანამშრომლის თანამდებობიდან გადაყენების შუამდგომლობით, რომლებიც შესაძლოა, მონაწილეობდნენ მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობაში: **„17 ნოემბერს მივმართე მთავარ პროკურორს სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში განთავსებულ პირთა მიმართ განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების წინადადებით. მისასალმებელია, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადება, რომლის მიხედვითაც სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება და ეს გამოძიება საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაეცა“.**

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა გამოძიებას უნდა აწარმოებდეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-8 დაწესებულებაში განთავსებულ პირთა მიმართ განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები თ. **„შესაბამისად, მოვუწოდებ საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქმეზე დაუყოვნებლივ ჩატარდეს ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, დაიკითხონ დაზარალებულები და სახალხო დამცველის წინადადებაში მითითებული მე-8 დაწესებულების ყველა თანამშრომელი, ასევე ყველა ის პირი, ვისაც შესაძლოა, ჰქონდეს რაიმე ინფორმაცია ამ ფაქტთან დაკავშირებით. ამავდროულად, საქართველოს მთავარ პროკურატურას საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე მივმართავ წინადადებით, ჩემს მიერ მიწოდებული მასალებისა და გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-8 დაწესებულების ყველა იმ თანამშრომლის მიმართ, რომლებიც შესაძლოა, მონაწილეობდნენ მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობაში და საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ამ პირთა თანამდებობიდან გადაყენების შუამდგომლობით“.**

სახალხო დამცველის თქმით, მნიშვნელოვანია, სასჯელაღსრულების სამინისტრომ შეისწავლოს, რამდენად დაცული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები სასჯელაღსრულების სამინისტროს მე-8 დაწესებულებაში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, მათ შორის, პატიმართა მიმართ სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ.

„პირველი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„მთავრობას, რომელსაც ამხელა პასუხისმგებლობას ვაკისრებთ, ე.წ. გასაღებიც უნდა ვანდოთ!“

როგორ დაგვიცავს რამდენიმემილიონიანი ელექტრონული სერვერი უკანონო მოსმენებისგან და რა უფლებები მიენიჭება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს

ვინ და როგორ უნდა დაიცვას საზოგადოება ფარული უკანონო მოსმენებისგან ისე, რომ არც სახელმწიფოს უსაფრთხოება დაზარალდეს, არც ადამიანის პირადი ცხოვრება?! ამ კითხვაზე პარლამენტი, მთავრობა და არასამთავრობო ორგანიზაციები დიდი ხანია პასუხს ეძებენ. არსებობს რამდენიმე კანონპროექტი, რომელთაგან ერთ-ერთი უზენაესი სასამართლოს ყოფილ მოსამართლესა და სამართლის პროფესორს, მერაბ ტურავას ე.წ. ოქროს შუალედად მიაჩნია. რატომაა მთავრობის შემოთავაზება ყველაზე მისაღები და რა ტექნიკურ-კონსტიტუციური მექანიზმებია ჩადებული ცვლილებათა პაკეტში შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედებების გასაკონტროლებლად — „ვერსიას“ ამ აქტუალურ თემაზე მერაბ ტურავა ესაუბრება.

— ახალმა ხელისუფლებამ ცვლილებათა იმ პაკეტზე დაიწყო მუშაობა, რომელიც ორ, ელექტრონული კომუნიკაციებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს ეხება.

რამდენიმე დეპუტატი ინიციატივით გამოვიდა და ვფიქრობ, ცვლილებათა ეს პროექტი ყველაზე სწორი, ოპტიმალური და პროგრესულია — ერთი გასაღები რჩება შს სამინისტროს, მეორე კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს გადაეცემა. ინსპექტორი ის ფიგურაა, რომლის სტატუსის გაძლიერების მოთხოვნა ხაზგასმითაა აღნიშნული საქართველო-ევროკავშირის შეთანხმებაში. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებები მომავალში უფრო გაიზრდება, მას, პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, საქართველოს პარლამენტი დანიშნავს და იმუნიტეტიც ექნება. კანონით დაცული იქნება მისი ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა. ეს ვარიანტი, დღევანდელ ვითარებაში, ოქროს შუალედია.

ერთი გასაღებით ქვეყნის უსაფრთხოებას შს სამინისტრო დაიცავს, ინსპექტორის ხელთ არსებული მეორე გასაღები კი იმას მოემსახურება, შსს-მ და უშიშროებამ ადამიანის უფლებები ვერ დაარღვიონ.

— ინსპექტორი ამას როგორ, რა ტექნიკური თუ კონსტიტუციური საშუალებებით გააკეთებს?

— პირველი ტექნიკური საშუალება კონტროლის ელექტრონული სისტემაა. ნებისმიერი განჩინება, რომელსაც მოსამართლე მოსმენებზე გასცემს და შს სამინისტროს გადაეცემა, ავტომატურად, გადაეგზავნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორსაც. მის ოფისში დამონტაჟდება სპეციალური სერვერი, რომლითაც შსს-ს მიერ განხორციელებული ნებისმიერი მარტივი მანიპულაციაც კი ადვილად გაკონტროლდება. თუ ვინმე, რაიმე ტექნიკური საშუალებით, ფარულ უკანონო მოსმენას მოინდომებს, დაუყოვნებლივ აისახება სერვერზე. წარმოიქმნება ე.წ. ტექნიკური ფაილი, რომელზეც აისახება ტელეფონის ნომერი, მოსმენების დაწყებისა და დასრულების დრო... ეს სისტემა დაახლოებით ისე მოქმედებს, როგორც მოკლე ტექსტური შეტყობინება ბანკომატიდან თანხის გამოტანისას. ფაქტობრივად, შეუძლებელია, სისტემას რამე გამოეპაროს. კანონპროექტის ამოქმედების შემთხვევაში, ფარული საგამოძიებო მოქმედებები ორეტაპიანი იქნება. ეს ნიშნავს, რომ შს სამინისტრო და ინსპექტორი ერთდროულად გასცემენ ნებართვას ფარულ მოსმენაზე, ერთი მეორის გარეშე ამას ვერ გააკეთებს; ასევე მონაცემთა ბანკის გასაკონტროლებლად სპეციალური ელექტრონული სისტემა შეიქმნება, რომელსაც შს სამინისტროსთან ერთად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორიც გააკონტროლებს.

— ისე, ვინ გვაძლევს გარანტიას, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი დამოუკიდებელი იქნება და შსს-ს ნაწილი არ გახდება?

— საკითხს ასე თუ შევხედავთ, კიდევ უფრო ნაკლები გარანტია გვაქვს სასამართლოსა და კერძო პროვაიდერების შემთხვევაში. ფაქტია, უსაფრთხოების ბოლომდე გამართული სისტემა, აქ კი არა, მსოფლიოში არ არსებობს. მაღალი დონის ტექნიკური საშუალებები უნდა შეიქმნას, ამაზე რამდენიმე მილიონიც უნდა დაიხარჯოს. სხვათა შორის, ეს ელექტრონული სისტემა უცხოურია.

— ერთ-ერთ ვარიანტად ე.წ. გასაღების სასამართლოსთვის გადაცემაც განიხილებოდა. ეს რატომ არ მოგწონთ?

— ბუნებრივია, ყველა ქვეყანაში და საქართველოშიც, ფარულ მოსმენებზე სასამართლო კონტროლი უნდა არსებობდეს და არსებობს კიდეც. ფარული მოსმენების წარმოებაზე ნებართვას სწორედ სასამართლო გასცემს, მაგრამ, იმავდროულად, გასაღების მფლობელი ვერ გახდება. ამ ორივე ფუნქციის მისთვის შეთავსება არასწორია.

— არის კიდევ ერთი, არასამთავრობო ორგანიზაციების ვარიანტი, რომლის მიხედვით, გასაღები კერძო პროვაიდერებს ანუ მობილურ არაქართულ კომპანიებს უნდა ჰქონდეთ. ამ ვარიანტში რა საფრთხეებს ხედავთ?

— ზოგ სახელმწიფოში გასაღები კერძო პროვაიდერებს აქვთ, მაგრამ იქ წლებია, უსაფრთხოების ისეთი სისტემა მოქმედებს, კერძო კომპანიები ცალკე კონტროლდება. ჩვენი გეოპოლიტიკური და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, ამ ე.წ. გასაღების პროვაიდერებისთვის გადაცემა მიზანშეწონილი არ არის. ერთ მაგალითს მოგიყვანთ:

საბერძნეთში გასაღები წლების განმავლობაში კერძო კომპანიების ხელშია, რაც გარკვეული რისკისშემცველია. რამდენიმე წლის წინ იქ ასეთი ფაქტი გამოვლინდა — ერთ-ერთი კერძო კომპანიის მეშვეობით, პრემიერ-მინისტრს, ჟურნალისტებსა და სხვა პოლიტიკოსებს უსმენდნენ. ამის გამო ეს კომპანია 67 მილიონით დაჯარიმდა. ასეთი რამ საბერძნეთში თუ მოხდა, აქ რაღა მოხდება?!

როგორც სამართლის პროფესორს, რომელიც 1,5 წელია ამ საკითხებზე კონსულტაციებს უცხოელ ექსპერტებთან გადის, უმრავლესობის რამდენიმე დეპუტატის კანონპროექტი ქართული რეალობისთვის ყველაზე მისაღებად მიმაჩნია.

— როგორც ვახტანგ ხმალაძე ამბობს, ე.წ. გასაღები ეროვნული კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას უნდა ჰქონდეს. ამ იდეას პარლამენტში მომხრეებიც გამოუჩნდნენ.

— მარეგულირებელ კომისიას კონტროლი ევალება. იგივე საბერძნეთში, კერძო კომპანია, რომელმაც კანონი დაარღვია, სწორედ მარეგულირებელმა დააჯარიმა. არ ღირს მისი სხვა ფუნქციებით დატვირთვა.

— ყველას ესმის, რომ „გასაღების“ მხოლოდ შს სამინისტროსთვის დატოვება არასწორია. საერთოდ რომ არ ჰქონდეს შსს-ს წვდომა ინფორმაციაზე, ამაში მეტი საფრთხე ხომ არ არის?

— ეს ფუნქცია შს სამინისტროს რომ არ ჰქონდეს, მსოფლიოში მიმდინარე ახალი ტენდენციების საწინააღმდეგო იქნება. მაგალითად, საფრანგეთმა 2015 წლის პირველი იანვრიდან ეს ფუნქცია კერძო კომპანიებს ჩამოართვა და სახელმწიფოს გადასცა. შეიძლება, ამას ჩვენი პოლიტიკოსები არ ამბობენ, მაგრამ ყველა მოწოდებულია, სახელმწიფოს უსაფრთხოება შს სამინისტროს სრული კონტროლის ქვეშ იყოს. როცა მთავრობას ვაკისრებთ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომ ქვეყანაში არ მოხდეს ტერაქტები, მეტრო, ქუჩები და შენობები არ აფეთქდეს... მას ეს ე.წ. გასაღებიც უნდა ვანდოთ!

გაზეთ „ვერსიის“ მთავარ რედაქტორს ქ-ნ მაია ფურცელაძეს

ქალბატონო მაია!

„საბას“ პრემიის მონიჭება გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ (№32, 2014 წ.) თავისი ჩვეული თავაზიანობით „მომილოცა“ — მომიძღვნა დ. ჩუბინიძის უხამსი პასკვილი, რომელშიც ავტორი და ამ სტატიის დამკვეთნი ეცადნენ, ჩემთვის შეურაცხყოფა მოეყენებინათ; ამაოდ დაშვრნენ — მათნაირი ხალხი ასეთ დროს თავად ამოიგანგლება ხოლმე საკუთარ სიბინძურეში. ამჯერად არ ვაპირებ მათთან სერიოზულ დავას, მაგრამ ამგვარ ცილისწამებებს რომ კაცმა მუდამ წაუყრუო, ჩემი აზრით, არც ეს ეგების — გაილაღა განუკითხაობამ! ამიტომაც ეს მცირე განცხადება, ქალბატონო მაია, მინდა, ჩემს მოკრძალებულ მცდელობად ჩათვალოთ — აილაგმოს, ჩვენში ესოდენ გაჯეჯილებული ჟურნალისტური უვიცობა და უსინდისობა.

პატივისცემით — თამაზ კვაჭანტირაძე

მხოლოდ განცხადება

ტოლი ნახე!

უპირველეს ყოვლისა, გაზეთ „ვერსიის“ ფურცლებიდან მინდა მადლობა მოვახსენო იმ ჩემს გულშემატკივრებს, ვინც „საბას“ პრემიის მონიჭება მომილოცა. იმათგან ბევრი მირჩევს — საკადრისად უნდა უპასუხოთ ამ ფაქტთან დაკავშირებით „ასავალ-დასავალში“ თქვენზე გამოქვეყნებულ პასკვილსაცო. ამ სამართლიან მოთხოვნას კი ჩემს კეთილისმსურველებს ვერ შევუსრულებ: შემინდეთ ამ „პირშუშხა“ გამოთქმისათვის, მაგრამ ცუანა გომბეშოს მყრალ ამონანთხევებზე სამსჯელოდ და საკამათოდ არა მცალია (ისევ მაპატიეთ ჩემთვის შეუფერებელი ლექსიკისათვის, მაგრამ ამ ხალხს, ზოგჯერ მათივე ენით უნდა ელაპარაკო!)... მაგ საცოდავსაც და მის დამკვეთებსაც სასჯელად ისიც ეყოფათ, რომ, ვისაც ისინი თათხავენ, მათ, ანგარიშგასაწევი საზოგადოების თვალში, ამ ლანძღვით მხოლოდ ღირსება ემატებათ, ვისაც აქებენ, პირიქით — აკლდებათ; თუმცა კვალის ასარევად ეს ვირეშმაკები ზოგჯერ საქებარსაც აქებენ და დასაგმობსაც გმობენ.

ასე რომ, ტოლი ნახე, მოჟურნალისტურო ჭაობო, და მას ეკამათე!

თამაზ კვაჭანტირაძე
17.11.14

სამცხე-ჯავახეთში მოქალაქეებმა დიდი ოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა ჩააბარეს

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში მოქალაქეებმა წარმოადგინეს და ნებაყოფლობით ჩააბარეს: ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 6212 საბრძოლო ვაზნა, სხვადასხვა ტიპის 106 ხელყუმბარა, 9 ცალი გადაჭრილი თოფი, 39 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი ნივთიერებები.

სულ ჩაბარებულია: ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი სხვადასხვა კალიბრის 6212 საბრძოლო ვაზნა, სხვადასხვა ტიპის 106 ხელყუმბარა, 9 ცალი გადაჭრილი თოფი, 39 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, 125 სხვადასხვა ტიპის დეტონატორი, 13 ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი მჭიდი, 28 საკვამლე კოჭა, 66 მსხვილკალიბრიანი საზენიტო იარაღის ჭურვი, 5 კარაბინი, 200 გრამი ტროტილი, 1 „ბერეტას“ სისტემის პისტოლეტი, 1 კუსტარულად დამზადებული იარაღი და 3 ნაღმმტყორცნი.გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ქუთაისის შემოვლითი გზა ადგილობრივ მოსახლეობას დამატებით შემოსავალს გაუჩენს

19 ნოემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით შავლიაშვილთან ერთად, ქუთაისის შემოვლითი გზის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 32-კილომეტრიანი გზის მონაკვეთი გახსნა, რომელიც მგზავრობის ხანგრძლიობას ნახევარი საათით შეამცირებს და ქუთაისს სატრანზიტო ნაკადისგან განტვირთავს. ახალი გზა ნახშირღელის მიმდებარე ტერიტორიიდან, კოპიტნარის აეროპორტის გასწვრივ არსებულ ცენტრალურ მაგისტრალს შეუერთდება.

ქუთაისის შემოვლითი გზა, ავტომაგისტრალის ერთ-ერთი სეგმენტის, იმერეთის 59-კილომეტრიანი შემოვლითი გზის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ზესტაფონიდან იწყება, ქუთაისს გაივლის და სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის გზაზე დასრულდება. პროექტი სრულიად ახალი, ორზოლიანი მაგისტრალის მშენებლობას ითვალისწინებს. მშენებლობა 2012 წლის 26 დეკემბერს დაიწყო და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, იაპონიის მთავრობის დაფინანსებით, საქართველოს მთავრობასთან ერთად განახორციელა. სამშენებლო სამუშაოები კომპანიამ TODINI Costruzion Generali SPA, TAKENAKA CIVIL ENGINEERING&CONSTUCTION CO.LTD შეასრულა. დონორია იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო JICA. ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის (ლოტი I) პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 77 900 000 ლარი და 20 600 000 მილიონი ევრო, ხოლო ქუთაისი-სამტრედიის შემოვლითი გზის მშენებლობის პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 69 600 000 ლარი და 20 900 000 ევროა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, **დავით შავლიაშვილმა** აღნიშნა, რომ ეს არის მაღალი ხარისხის უსაფრთხო გზა: **„ეს მხოლოდ საგზაო მონაკვეთი კი არა, მოსახლეობისთვის დამატებითი შემოსავლის გაჩენის რეალური შესაძლებლობაა. შემოვლითი გზის მშენებლობაზე ათასამდე ადამიანი იყო დასაქმებული. ორი წლის განმავლობაში კი, მხოლოდ საგზაო სექტორში, 15 000 ადამიანი დავასაქმეთ, საქართველოში აშენდა და შეკეთდა 556 კმ საავტომობილო გზა და 99-ზე მეტი ხიდი, ჩქაროსნულ მაგისტრალზე 52 კმ გზა გავიყვანეთ. ახალი გზები ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის. ჩქაროსნულ მაგისტრალზე, მხოლოდ 50 კმ-ში, თანამედროვე სტანდარტების მოსასვენებელი ობიექტები აშენდება, სადაც მიმდებარე სოფლების მოსახლეობას წარმოებული პროდუქციის რეალიზების საშუალება მიეცემა. ეს ეკონომიკური სიძლიერესა და სტაბილურობას უზრუნველყოფს და ქვეყანას ევროპასა და აზიასთან დააკავშირებს“.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** მადლობა გადაუხადა დავით შავლიაშვილს, პროექტში მონაწილე ყველა ადამიანს, ასევე იაპონიის მთავრობასა და იტალიის ელჩებს, რომლებიც 19 ნოემბერს, ქუთაისის შემოვლითი გზის გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ: **„შთამბეჭდავია მინისტრის მიერ მიღწეული შედეგი. წინა ხელისუფლებამ, რვა წლის განმავლობაში, მხოლოდ 70 კმ ავტომაგისტრალი გაიყვანა. მინისტრმა შავლიაშვილმა და მისმა წინამორბედმა კი, ორ წელში, 55-კილომეტრიანი მაგისტრალის აშენება შეძლეს. 550 კმ-ზე მეტი გზის მშნებლობა-შეკეთება, 80-ზე მეტი ხიდის კაპიტალური რეაბილიტაცია და 19 ახალი ხიდის მშენებლობა — ამ რეალური შედეგით ვამაყობთ, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, მოსახლეობისთვის უკეთესი პირობების შესაქმნელად. ჩვენი მთავარი საზრუნავი ხალხი და ქვეყანაა. ჩვენ უარი ვთქვით ნახევარმილიარდიან სასახლეებზე. ეს თანხა, მოსახლეობის საკეთილდღეოდ, გონივრულად და ეფექტურად მივმართეთ ჯანდაცვაში, განათლებაში, სოფლის მეურნეობაში, წარმოების განვითარებაში, გზების მშენებლობასა და ზოგადად, სოციალურ პროექტებში. ეს არის ის, რაც განგვასხვავებს წინა მთავრობისგან. საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა გვერგო, მაგრამ მოტივირებულები ვართ. ბრიუსელში წარმატებული ვიზიტი მქონდა. ევროკავშირის ახალ ხელმძღვანელობასთან, ევროკომისრებთან შეხვედრისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, საქართველოს სერიოზული წინსვლა აქვს და ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები მისასალმებელია. ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარ იოჰანეს ჰანთან ხელშეკრულება გავაფორმეთ, რომლის თანახმად, ევროკავშირი საქართველოს 30 მილიონი ევროთი დაეხმარება. ეს თანხა რეგიონულ განვითარებას მოხმარდება. მალე წარვადგენთ რეგიონების განვითარების კონცეფციას — კონკრეტულ რეგიონზე მორგებულ, გრძელვადიან სტრატეგიას. მოვუწოდებ ბიზნესმენებს, ჩაერთონ ამ მნიშვნელოვან პროექტში. დღეს ბიზნესი და მედია თავისუფალია, მათი განვითარებისთვის ყველა პირობა შევქმენით. ახლა საჭიროა საჯარო და კერძო სექტორების გაერთიანება, რათა რეგიონისთვის მნიშვნელოვანი პროექტები განვახორციელოთ“.**

ქუთაისის შემოვლითი გზის გახსნის ოფიციალური ცერემონიის დასრულების შემდეგ, ავტომრბოლელებმა და ბაიკერებმა ახალი გზა გამოსცადეს და ექსტრემალური ორიგინალური შოუც აჩვენეს.

პაატა დავითაიას სკანდალური პროგნოზი

რუსუდან შელია
557-100-768

რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთის ფედერაცია აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთთან“ ურთიერთობის გამყარებისთვის ახალ ხელშეკრულებას ამზადებს. ლავროვი ასევე ხაზს უსვამს, რომ მოსკოვი საქართველოსთან ურთიერთობის დარეგულირების პროცესსაც განაგრძობს. გაუგებარია, როგორ თავსდება ოკუპირებული ტერიტორიების ანექსია რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებასთან. „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციისთვის ხელისუფლებას, ოპოზიციასა და სრულიად საზოგადოებას გაერთიანებისკენ მოუწოდებს.

— ლოგიკური კითხვაა: რატომ ჩქარობს რუსეთი აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთთან“ შეთანხმების პროექტზე ხელმოწერას, როცა 80-მდე ხელშეკრულება აქვთ გასაფორმებელი? ჩემი ვარაუდით, 2015 წლის მაისში ან მაქსიმუმ ივნისში, საქართველოს მთავრობას რუსეთის ფედერაციიდან შემოუთვლიან — აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის სუბიექტად გამოცხადების ხელშეკრულებას ხელს არ მოვაწერთ, თუ საქართველო ევრაზიის კავშირის წევრი გახდებაო. ეს იქნება ერთადერთი ვალდებულება, რომელსაც კრემლი ოფიციალურ თბილისს მოსთხოვს. უახლოეს რვა თვეში ზუსტად ის სქემა ამუშავდება, რაც დსთ-ში საქართველოს გასაწევრიანებლად ამოქმედდა. მაშინ ამ ხერხით აიძულეს შევარდნაძე, გაერთიანების წევრი გამხდარიყო.

— **რატომ გადაწყვიტეთ, რომ ხელისუფლება რუსეთის შანტაჟს აყვება და ევრაზიის კავშირში შესვლაზე დათანხმდება?**

— დილემის წინაშე დადგება და იმიტომ! სამუდამოდ იკარგება აფხაზეთი, ამიტომ იძულებული ხარ, რაღაც გააკეთო, რომ ტერიტორია ისტორიულად მაინც შეინარჩუნო. ეს ხელშეკრულება რომ გაფორმდეს, რუსეთის დაშლამდე აფხაზეთს ვეღარავინ დაიბრუნებს. რუსეთის დაშლა კი ხანგრძლივი პროცესია, რომელიც, არავინ იცის, როდის დაიწყება. მეც მიჭირს პასუხი, ასეთ ვითარებაში როგორ მოვიქცეოდი. ამ ბრძოლაში პუტინი უკან არ დაიხევს — 2015 წელს ევრაზიის კავშირის შექმნა დააანონსა, საქართველოს გარეშე გაერთიანებას აზრი არ აქვს, ამიტომ აუცილებლად დაიწყება საუბრები, აფხაზეთს ისტორიულად ვკარგავთ და ნატო და ევროკავშირი რად გვინდაო. გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგვაყენებენ. არავის სურს, მისი მმართველობის პერიოდში ქვეყანამ ტერიტორიები სამუდამოდ დაკარგოს. თუ ხელისუფლება ამას დაუშვებს, მას აუცილებლად დაამხობენ! გადაბრალება — შევარდნაძის პერიოდში ჩაბარდა აფხაზეთი თუ სააკაშვილმა დააჩქარა ანექსია, არ გამოვა. ფაქტია, ყველამ თავის წვლილი შეიტანა.

— **დასავლური ფაქტორი გავიწყდებათ — საქართველოში ნატო-ს სასწავლო ცენტრი იხსნება და ქვეყანა ევროინტეგრაციის გზაზე წარმატებებს აღწევს, რასაც თავად დასავლელი პარტნიორები ადასტურებენ. რუსეთის ეკონომიკა კრიტიკულ ზღვარზეა და ნაკლებად სავარაუდოა, პუტინს სანქციების მორიგი სერია აწყობდეს.**

— დასავლეთის მხარდაჭერა უკრაინასაც ჰქონდა, მაგრამ ყირიმი დაკარგა და ლუგანსკიც იკარგება! ახლა ქართველების ერთიანობაა აუცილებელი. მძიმე დღეში ვართ! პუტინი ევრაზიულ კავშირს საქართველოს გარეშე ვერ შექმნის, ამიტომ მას სხვა არჩევანიც არ აქვს — დასავლეთის სანქციებს იმპერიის გაძლიერებით უნდა დაუპირისპირდეს. ეს რეალობაა, რომელიც საქართველოს ისტორიაში პირველად არ ხდება.

— **ახლა ნინო ბურჯანაძეს ემსგავსებით, რომელიც ხელისუფლებას ღიად მოუწოდებს, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების ნაცვლად, დასავლეთთან თანამშრომლობის გაწყვეტას.**

— ნინო ბურჯანაძემ იცის, რა უნდა. სხვა საქმეა, ვეთანხმები თუ არა. ფაქტია, კარგად ვიცი, ბურჯანაძე რა გზას მთავაზობს. სამაგიეროდ, გაუგებარია, როგორ აპირებს ხელისუფლება ამ გამოწვევებთან გამკლავებას.

— **თქვენ რა გზას სთავაზობთ ხელისუფლებას?**

— ამ საფრთხეების ფონზე, ხელისუფლებასთან დაპირისპირება არ მინდა — ერთადერთი, რაც ამ პროცესს შეაჩერებს, იდეებისა და საქართველოს მოქალაქეობის ერთიანობაა. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ატარებს აქციას? სახელმწიფოსთვის კატასტროფაა, ანექსიის თემაზე რომ საერთო მასშტაბური პოზიცია ვერ დაფიქსირდა. გამოდის, თავადვე ვიბრძვით პუტინის საბოლოო გამარჯვებისთვის. პარტიული თუ სხვა ტიპის დაპირისპირება უნდა შევწყვიტოთ, რადგან კრემლი გვიმზადებს საფრთხეს, რომელიც, ხელისუფლების გარდა, საქართველოსა და მისი მომავალი თაობისთვისაა დამანგრეველი. რუსეთის გეგმა მარტივია — საქართველო კი საშიშ ზღვარზე დგას!

— **ირაკლი ღარიბაშვილიც აღნიშნავს, რომ ახლა მთავარი ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებაა და ოპოზიციასაც კონსტრუქციულობისკენ მოუწოდებს. სახელმწიფოებრიობას დღეს ოპოზიცია უფრო ხომ არ უქმნის საფრთხეს?**

— ბრიუსელში ვიზიტისას ირაკლი ღარიბაშვილმა საკმაოდ კარგი სიტყვა წარმოთქვა, ოპოზიციის მისამართით მის მოწოდებებსაც მივესალმები, მაგრამ მთავარია, ეს საქმეშიც გამოიხატოს. ამ ვითარებაში დესტრუქცია მართლაც დაუშვებელია, მაგრამ მე ნუ მომიწოდებენ კონსტრუქციულობისკენ, რადგან პარლამენტში ნაციონალური მოძრაობა ჰყავთ, რომელიც ოპოზიციური ძალაა.

— **ოპოზიციაში ირაკლი ალასანიას გადასვლის შემდეგ, სადავო არ გახდა, ვინაა ქვეყანაში მეორე ძალა?**

— სამწუხაროდ, პოლიტიკა მხოლოდ ფინანსურ რესურსებზე გახდა დამოკიდებული. თუ პარტიაში კარგი კადრი გყავს, შენზე ფინანსურად ძლიერი ტიპი მას მეტს გადაუხდის და წაიყვანს. პოლიტიკური თამაშების მონოპოლიზება ხდება — ნაციონალურ მოძრაობას ხელისუფლებაში დაბრუნება უნდა, „ქართულ ოცნებას“ — ძალაუფლების შენარჩუნება, მარგველაშვილი და სხვები ცალკე „უბერავენ“. ამიტომ ვამბობ, ქვეყანაში ცუდი ფონი იქმნება, რითაც შეიძლება, მტერმა ისარგებლოს, მაგრამ, თუ საქართველოში რუსეთის ინტერესები გაძლიერდა, მერწმუნეთ, ხალხი აჯანყდება და ხელისუფლება დაემხობა!

— **ყველაფერთან ერთად, ახალ რევოლუციასაც აანონსებთ?**

— რეალობას ვამბობ. რვა თვის წინ განვაცხადე, რუსეთი აფხაზეთის სუბიექტად გამოცხადებას ცდილობს-მეთქი, მაგრამ არავინ მიჯერებდა — პუტინს ეს არ აწყობსო. ყველაფერი მიდის ისე, რომ საქართველოს ხელისუფლება სერიოზული ზეწოლის ქვეშ და გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ამის პრევენცია კი მხოლოდ საზოგადოების ერთიანობაა, რისი ნიშნებიც, ჯერჯერობით, არ იკვეთება.

აფხაზეთის ომის შემზარავი ქრონიკები

როგორ გადმოუსვენა აფხაზმა პატიმარმა ქართველს გაღიდან მამა

პატიმარი №0578

სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები, შეიძლება ითქვას, მსოფლიო ხალხთა თავშეყრის ადგილია. ვის აღარ ნახავთ იქ — შვეიცარელს (თურქი ცოლი საქართველოში მოკლა), ფრანგს (საბუთები გააყალბა), კანადელს (ყალბ ფულს ბეჭდავდა)... ჩინელების, თურქებისა და ფერადკანიანების რიცხვი კი იმდენად დიდია, ადგილობრივებს სათვალავი ერევათ. ფერადკანიანებიდან განსაკუთრებით აფრიკელები სჭარბობდნენ. სასჯელს სამაჩაბლოში მცხოვრები ოსებიც იხდიდნენ, აფხაზი პატიმარი კი იშვიათობა იყო. სამაჩაბლოელ ოსებსა და იქიდან დევნილ ქართველებს ჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდათ; აი, აფხაზეთიდან დევნილები კი აცხადებდნენ, რომ აფხაზი პატიმრის გამოჩენის შემთხვევაში, მინიმუმ „კაზლიატნიკში“ გაისტუმრებდნენ და ციხეს ჯოჯოხეთად უქცევდნენ...

რუსთავის 17 საპყრობილეში აფხაზეთიდან დევნილებს ცალკე „ავტონომია“ ჰქონდათ — ჭირსა თუ ლხინს ერთად იზიარებდნენ. 2012 წელს, როცა პოლიტიკური სპექტრი არჩევნებისთვის ემზადებოდა და ციხის კადრები ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული, ზონაზე პატიმრების ახალი ნაკადი მოიყვანეს. ერთ-ერთმა მაშინვე თქვა, გალიდან ვარო და დევნილებმა შეიფარეს, სიგარეტი, ჩაი, ყავა, პირველადი მოხმარების ჰიგიენური ნივთები მიუტანეს. ალექსანდრემაც ჯერ მეგრული საუბრით იჯერა გული, მერე კი საერთო ფერხულში ჩაება. ალექსანდრეს ნაცვლად სანდრიკა დამიძახეთ, გალში ასე მეძახდნენ და ჩემი პრისტუპნიკული „პაგრიმუხაც“ სანდრიკა�ა, თქვა.

„რატომ „პაგრიმუხა“ და არა „კლიჩკა“ ან „პაგანიალა?“ — ჰკითხა პატიმარმა 0578-მა.

„იმიტომ, რომ „პაგრიმუხა გრიმიტ“, — აუხსნა სანდრიკამ. 0578-მა ღიმილითვე მიუგო: „აქ ხამამაღალ განაცხადებს, ხმამაღალ მოთხოვნებს უყენებენ...“

ორ დღეში პატიმრების ახალი ნაკადი მოვიდა. სანდრიკა ერთ-ერთს გადაეხვია, ჩემი კლასელიაო. ყველაფერი ისევ ძველებურად მიდიოდა, სანამ...

„მაყურებლებმა“ სანდრიკა, მისი კლასელი, კიდევ რამდენიმე „კაიბიჭი“ კამერაში დაიბარეს. მაყურებლის კამერისკენ მიმავალმა სანდრიკამ პატიმარ 0578-ს ჰკითხა: „გადამრევ. ვინ ხარ? რა გინდა? „კაიბიჭი“ არ ხარ, მაგრამ სხოდკებს არ აკლდები, შენს აზრებსაც თამამად ამბობ“. კითხვის ადრესატმა მიუგო: „შენგან განსხვავებით „პაგრიმუხა“ არ მაქვს, რიგითი, მაგრამ ცნობისმოყვარე პატიმარი ვარ და „მაყურებლები“ რატომღაც ამ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას მაძლევენ. არაფერს ვაფუჭებ. ჩემი აზრი დღესაც მექნება“.

„მაყურებლების“ კამერაში ათამდე პატიმარი მოთავსდა. პირველად ზონის გალელი „მაყურებელი“ ალაპარაკდა, რომელიც სანდრიკას კარგად იცნობდა: „ვიცოდი, რომ სანდრიკა აფხაზია. ქურდულად ცხოვრობს და საჭიროდ არ ჩავთვალე მისი აფხაზობისთვის ხაზი გამესვა. როცა იქიდან ოჯახთან ერთად წამოვიდა, მეოთხე თუ მეხუთე კლასში იყო. დევნილებად იქცნენ და რამე მიქარული რომ ჰქონოდათ, აქამდე არ აპატიებდნენ. აქამდე რატომ არ თქვი ეს ყველაფერი?“, — მიუბრუნდა სანდრიკას კლასელს. მან ჯერ თვალების ცეცება დაიწყო, მერე თავი დახარა და ამოილუღლუღა: „შემეცოდა. დღეს კი ვეღარ მოვითმინე“. პატიმარმა 0578-მა იცოდა, ამ სულელურ არგუმენტს რა მოჰყვებოდა. ასჯერ ნანახის კიდევ ერთხელ ნახვა აღარ სურდა — „მაყურებელს“ ანიშნა, სიტყვა მაქვს სათქმელიო და როცა თანხმობა მიიღო, სანდრიკას მიმართა: „გასაგებია, რომ ქურდულს ეროვნება არ აქვს. ისიც — რომ 10 წლის ასაკში ვერაფერს გააფუჭებდი, მაგრამ მაინც დამალე აფხაზობა. ჩვენი კანონები, არც აფხაზს სჯის, არც ოსს, არც ზანგს... თუ რამე არ შეეშალა. ესაა შენი შეცდომა და ისიც, რომ „ობშიაკში“ ჩასადებად ათი ბლოკი სიგარეტი დაანონსე და მაყუთი რომ ვერ დაითრიე, მამაშენის ინვალიდობის პენსიით აყიდინე. გითხარი, „პაგრიმუხას“ რომ გაიძახი, მაღალი მოთხოვნებია-თქო. იმ სასტუმროში, სადაც შენები ცხოვრობენ, ბიძაჩემიც ცხოვრობს. მის და შენს სახლებს კი, აფხაზეთში ერთი ღობე ჰყოფდა. ჯენვერზე გეუბნები. შენი კლასელის მიერ მოყოლილი ამბავი, მანამდეც ვიცოდი, მაგრამ არ იყო მოსაყოლი და არ ვთქვი. აფხაზობის დამალვა კი შენი იდიოტიზმია“.

> **„ქართველი სამხედრო რკინის მილში ჩასვა, ორივე მხრიდან „დასვარკა“, ცეცხლში ჩააგდო და დაადნო კაცი...“**

„როდემდე უნდა ვითმინოთ ეს აფხაზი? ამის მამამ, იცით, რა გააკეთა? ქართველი სამხედრო რკინის მილში ჩასვა, ორივე მხრიდან „დასვარკა“, ცეცხლში ჩააგდო და მილში „დაადნო“ კაცი. ეს უყურებდა“, — თქვა სანდრიკას კლასელმა. პატიმრებმა სანდრიკას გახედეს, მან კი, ახსნა: „ეგ მამაჩემს არ გაუკეთებია, ეტლში ზის. მაგ დროს 10 წლის ვიყავი და ვერაფერს შევცვლიდი. მაგ ამბამდე ქართველებს ჩვენი თანასოფლელი 12 წლის გოგონას გაუპატიურება დაბრალდათ. ეგ შურისძიება იყო — გოგოს მამა და ბიძები მოექცნენ ქართველ ტყვეს ასე. ყველაფერი ჩვენი ეზოს წინ მოხდა. „კაიბიჭი“ ვარ, ქურდულში შეცდომა არ დამიშვია, ქურდულს კი ეროვნება არ აქვს. ამან ჩემი აფხაზობა იმიტომ გაიხსენა, რომ გუშინ სიგარეტი არ მივეცი. ვიცი, კარტაზე ფული აქვს და მაინც მე მთხოვა, საიდუმლოს გინახავ და აბა, როგორ გინდაო. საიდუმლო არ მაქვს. სანდრიკა ვარ, ქურდული ცხოვრებით ვცხოვრობ, ჩემი ოჯახი ქურდული სამყაროა“.

„მაყურებლებმა“ სანდრიკა, მისი კლასელი, კიდევ რამდენიმე „კაიბიჭი“ კამერაში დაიბარეს. მაყურებლის კამერისკენ მიმავალმა სანდრიკამ პატიმარ 0578-ს ჰკითხა: „გადამრევ. ვინ ხარ? რა გინდა? „კაიბიჭი“ არ ხარ, მაგრამ სხოდკებს არ აკლდები, შენს აზრებსაც თამამად ამბობ“. კითხვის ადრესატმა მიუგო: „შენგან განსხვავებით „პაგრიმუხა“ არ მაქვს, რიგითი, მაგრამ ცნობისმოყვარე პატიმარი ვარ და „მაყურებლები“ რატომღაც ამ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას მაძლევენ. არაფერს ვაფუჭებ. ჩემი აზრი დღესაც მექნება“.

„მაყურებლების“ კამერაში ათამდე პატიმარი მოთავსდა. პირველად ზონის გალელი „მაყურებელი“ ალაპარაკდა, რომელიც სანდრიკას კარგად იცნობდა: „ვიცოდი, რომ სანდრიკა აფხაზია. ქურდულად ცხოვრობს და საჭიროდ არ ჩავთვალე მისი აფხაზობისთვის ხაზი გამესვა. როცა იქიდან ოჯახთან ერთად წამოვიდა, მეოთხე თუ მეხუთე კლასში იყო. დევნილებად იქცნენ და რამე მიქარული რომ ჰქონოდათ, აქამდე არ აპატიებდნენ. აქამდე რატომ არ თქვი ეს ყველაფერი?“, — მიუბრუნდა სანდრიკას კლასელს. მან ჯერ თვალების ცეცება დაიწყო, მერე თავი დახარა და ამოილუღლუღა: „შემეცოდა. დღეს კი ვეღარ მოვითმინე“. პატიმარმა 0578-მა იცოდა, ამ სულელურ არგუმენტს რა მოჰყვებოდა. ასჯერ ნანახის კიდევ ერთხელ ნახვა აღარ სურდა — „მაყურებელს“ ანიშნა, სიტყვა მაქვს სათქმელიო და როცა თანხმობა მიიღო, სანდრიკას მიმართა: „გასაგებია, რომ ქურდულს ეროვნება არ აქვს. ისიც — რომ 10 წლის ასაკში ვერაფერს გააფუჭებდი, მაგრამ მაინც დამალე აფხაზობა. ჩვენი კანონები, არც აფხაზს სჯის, არც ოსს, არც ზანგს... თუ რამე არ შეეშალა. ესაა შენი შეცდომა და ისიც, რომ „ობშიაკში“ ჩასადებად ათი ბლოკი სიგარეტი დაანონსე და მაყუთი რომ ვერ დაითრიე, მამაშენის ინვალიდობის პენსიით აყიდინე. გითხარი, „პაგრიმუხას“ რომ გაიძახი, მაღალი მოთხოვნებია-თქო. იმ სასტუმროში, სადაც შენები ცხოვრობენ, ბიძაჩემიც ცხოვრობს. მის და შენს სახლებს კი, აფხაზეთში ერთი ღობე ჰყოფდა. ჯენვერზე გეუბნები. შენი კლასელის მიერ მოყოლილი ამბავი, მანამდეც ვიცოდი, მაგრამ არ იყო მოსაყოლი და არ ვთქვი. აფხაზობის დამალვა კი შენი იდიოტიზმია“.

სანდრიკას კლასელმა მაყურებლისგან მაშინვე სილა მიიღო. ყველა გაჩუმდა. სანდრიკა გაოცებული იდგა. როცა კამერიდან პატიმრების ნაწილი გავიდა, მაყურებელს ჩუმად ჰკითხა: „გამაგებინეთ, ეს ვინაა?!“

„ჩვენი ძმაა... „პრადვინუტი“ ძმა. ხანდახან გვახსენებს, რომ ამ ჯოჯოხეთში ადამიანები ვართ და ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ. ქურდულს ღეჭავს, არ ეშლება, მაგრამ არაფერზე აქვს პრეტენზია. ნდობა ბოლომდე შეიძლება“, — ღიმილით უთხრა მაყურებელმა.

მეორე დღეს, სანდრიკას თანასაკნელმა უთხრა, პატიმარი 0578 გიბარებსო. მორჩილად ავიდა კამერაში, სადაც კიდევ ერთი პატიმარი დახვდა.

„დაჯექი, სანდრიკ, ამ კაცს მოუსმინე“, — უთხრა 0578-მა. ჩამოჯდა.

„შეგიძლია მითხრა, როგორ გამოიყურებოდა ის კაცი, ვინც დაწვეს?!“ — ჩუმად ჰკითხა უცნობმა პატიმარმა. მან კი დაძაბულად უპასუხა: „პატარა ვიყავი, შოკი იყო და ბუნდოვნად მახსოვს... მისი ზურგჩანთა ამოაბრუნეს და იქიდან წამლები, ბინტი, იოდი, სპირტი და შპრიცები გადმოიყარა“.

უცნობმა პატიმარმა თავი ჩაღუნა. დაახლოებით ათი წუთი უხმოდ იტირა. ბოლოს ცრემლები შეიმშრალა და... — „ექიმი იყო მამაჩემი, ექიმი. ომში იმიტომ წავიდა, რომ ჩემი ძმა იბრძოდა. ვიცოდი, როცა დაიჭირეს, დაჭრილ აფხაზს მკურნალობდა და ასე საშინლად მოკლეს. სულ ვეძებდი ვინმეს, ვინც ეს ნახა... მამა, გიორგი მ. აფხაზეთში ექიმის ჩანთით იბრძოდა, მაგრამ მაინც მოკლეს. შეგიძლია მითხრა, სად არის დამარხული?!“

„მამამ მე, დედა, ჩემი და და მამიდა მთელი ღამე გვამუშავა — ეზოში ორმო გაგვათხრევინა და ის „ტრუბა“ დაგვამარხინა. „სვარკის“ აპარატი არ გვქონდა, რომ გაგვეჭრა და თანაც, ნერვებიც არ გვეყოფოდა. ჩემს ეზოში მარხია მამაშენი და თუ აქედან გასვლა გვეღირსა, გპირდები, პირადად გადმოვასვენებ“, — დაპირდა სანდრიკა.

* * *

გარდაცვლილი ექიმის შვილი ამ ამბიდან სამ თვეში გავიდა თავისუფლებაზე. სანდრიკას 15 წელი ჰქონდა მისჯილი და კარგად იცოდა, ერთ წელსაც არავინ აპატიებდა. ერთ დღეს, გიორგი მ-ს ოჯახში დარეკეს, უთხრეს, რომ ენგურის ხიდთან მათთვის ამანათი იყო. მაშინვე გაემგზავრნენ. თბილისში ორი მეტრის დაჟანგული მილი ჩამოიტანეს, საიდანაც ექიმ გიორგი მ-ს დანახშირებული ძვლები ამოიღეს. ოჯახმა ის მშობლიურ მიწას მეორედ მიაბარა. მაშინ მინისტრი უკვე სოზარ სუბარი იყო. მისი ნებართვით, გიორგი მ-ს მეუღლე რუსთავის 17 ზონაზე შევიდა, სანდრიკას პირადად გადაუხადა მადლობა. იმ დღეს ზონაზე თითქმის არავის ეძინა. მეორე დღეს, სანდრიკამ პატიმარ 0578-ს კამერაში მიაკითხა და ღიმილით უთხრა: „დღეიდან ყველამ აფხაზი დამიძახეთ, ჩემი „პაგრიმუხა“ აფხაზია“.

„ეგ უფრო საპასუხისმგებლოა სანდრიკ, აფხაზობა მარტო ქურდულად ცხოვრება არ არის და ეს გახსოვდეს“, — ღიმილით უთხრა პატიმარმა.

აფხაზი სანდრიკა სასჯელს დღემდე იხდის.

შტაინმაიერის ახალი მეთოდი რუსეთის დასაშოშმინებლად

დასავლეთისა და რუსეთის თანაცხოვრებაზე შეთანხმება ჩვენთვისაც კარგი იქნება“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი აპირებს, ევროკავშირსა და რუსეთს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა ახალი მეთოდით გამოასწოროს — ევროკავშირისა და ევრაზიული კავშირის წარმომადგენლები ერთ მაგიდასთან შეკრიბოს. რამდენად ეფექტური იქნება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მცდელობა და რას მოუტანს ეს საქართველოს? „ვერსია“ ექსპერტ ლევან გიორხელიძეს ესაუბრა.

— ევროკავშირი-რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეობა ორივე მხარისთვის სასიცოცხლოა. რუსეთი საბოლოოდ ინტეგრირებული იქნება საერთო-ევროპულ სივრცეში. ამის საშუალებას იძლევა მისი კულტურა და ის უზარმაზარი რესურსი, რომელიც უკვე თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების საფუძველზე უნდა განვითარდეს; ევროპასაც შეუძლია, ამით უდიდესი სარგებელი მიიღოს, ამიტომ პოლიტიკური დაძაბულობა არ შედის არც რუსეთის და არც ევროკავშირის ინტერესებში (უფრო მესამე მხარეს აწყობს). გერმანელები უკვე ცდილობენ დამოუკიდებელი პოლიტიკის თამაშს, რაც ერთგვარი გამოსავალია ევროპისთვის, რუსეთისთვის და ჩვენთვისაც — ამას სიმშვიდე და საფრთხეების მოხსნა მოყვება.

— მაგრამ უკრაინის მიმართ პოზიცია რამდენად უწყებს ხელს რუსეთის ევროპულ ინტეგრაციას?

— უკრაინაში მიმდინარე პროცესები საქართველოში სრულად და ცხადად არ არის წარმოდგენილი, ასევე არაა ზუსტი ინფორმაცია არც წინაისტორიის შესახებ. უკრაინა დიდი სახელმწიფოების დაპირისპირებისთვის მხოლოდ საბაბია და საკუთრივ უკრაინული ღირებულება ამ კონფლიქტში უმნიშვნელოა. სამწუხაროდ, ამას უკრაინაში და საქართველოშიც ვერ ხვდებიან. ვინც ხვდება, აკეთებს კიდეც იმას, რასაც აკეთებს. ასე რომ, ვფიქრობ, თუ ბალანსი და დიალოგი შედგება, უკრაინის პრობლემა რუსეთის მხრიდანაც მოიხსნება და ევროპიდანაც.

— რა პირდაპირ გავლენას ახდენს რუსულ-უკრაინული კონფლიქტი ქართულ-რუსულ პროცესზე?

— ქართულ-რუსული პროცესები რეალურად არ მიმდინარეობს. რაც არის, პოლიტიკურ პროცესს ვერ დაარქმევ. უკრაინა-რუსეთის ურთიერთობა არანაირ გავლენას არ ახდენს საქართველოზე. რუსეთში ვითარება იძაბება და ელიტებს შორის დაპირისპირება იზრდება. ანუ, საკმაოდ მძიმე სცენარი ვითარდება, რისკენაც დასავლეთი, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატები უბიძგებს. ჩრდილოეთ სამეზობლოში ფერადი რევოლუცია და ხელისუფლების შეცვლა კი, საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს. კუთხეში მიმწყვდეული რუსეთი რა ნაბიჯს გადადგამს, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, ამიტომ ჩვენთვის ნორმალური პროცესის განვითარება და დიდ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკება, პოლიტიკური გზებით ბალანსის მიღება გაცილებით უხიფათო და მნიშვნელოვანია, ვიდრე დაპირისპირების ესკალაცია. ჩვენ წინაშე რისკი იზრდება და ეს კარგად უნდა გვესმოდეს.

— უკრაინული პროცესები რუსეთში მართლა შეიძლება გადავიდეს?

— არაფრის გამორიცხვა შეიძლება, მით უფრო, რომ სანქციების მთავარი მიზანი შიდაარეულობა და პუტინის რეჟიმის შეცვლაა. დღეს დასავლეთი სხვა მიზნებს არ ისახავს და ვერც დაისახავს, რადგან რუსებისგან შეიძლება ძალიან ცუდი რეაქცია მოყვეს. რუსები საკმაო პოტენციალის ხალხია. მართალია, ჯერ ვერ ააწყვეს სახელმწიფო და თავის სიმდიდრეს განვითარებას ვერ ახმარენ, ასზე მეტ ოლიგარქს შეაჭმევინეს ქვეყანა და ფაქტობრივად, ქვეყნის ძარცვას განაგრძობენ, მაგრამ ჩვენ საკუთარი სახელმწიფოს უშიშროებიდან უნდა გამოვიდეთ და ვფიქრობ, რუსეთში დაძაბულობის ესკალაცია საქართველოსთვის საშიშია. სჯობს დასავლეთი და რუსეთი შეთანხმდნენ თანაცხოვრებაზე და ეს ჩვენთვისაც კარგი იქნება.

— რუსულ-უკრაინულ კონფლიქტში საქართველოს მთავრობის პოზიცია დამაკმაყოფილებელია?

— ჩვენი მთავრობის პოზიცია რაიმე ფორმით გამოკვეთილი არ არის. ჩვენ შეიძლება გამოვიდეთ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან და ვთქვათ, რომ ის არ ამძაფრებს რუსეთთან დამოკიდებულებას; ამ დროს, რა უნდა გამძაფრდეს, ისედაც ოკუპირებულები ვართ და საფრთხეები დამოკლეს მახვილივით თავზე გვაქვს ჩამოკიდებული. უკრაინელების აშკარა მხარდაჭერა მისაღებია და აქ რაიმე მკვეთრ მოძრაობას გამართლება არ ექნებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, უკრაინა საქართველოს მოკავშირედ უნდა დარჩეს; თუმცა 15 ნოემბრის აქციის შემდეგ შეიძლება ითქვას, ჩვენი მთავრობის სუსტი მუშაობის შედეგად, საქართველოს უკრაინა, ფაქტობრივად, „დაკარგული“ აქვს. იქ ყოველდღე, ყველა ტელევიზიით საუბარია, რომ დიდი რეფორმატორი სააკაშვილი ყოფილა და საქართველო მასთანაა გაიგივებული. ეს ტრაგედია და ის პოლიტიკური შეცდომებია, რასაც ხელისუფლება არ უნდა უშვებდეს.

მექა ხანგოშვილი: „ღმერთმა ნუ ქნას, საქართველოში მეორე ჩეჩნეთი მოეწყოს“

ნათია ნოდია

რატომ იღუპებიან ახალგაზრდები პანკისის ხეობიდან სირიის ომში? როგორ ზრდიან ჩეჩნები შვილებს? რა გვაშორებს და მაინც გვაკავშირებს ქართველებსა და ვაინახებს? ამ საინტერესო საკითხებზე „ვერსია“ ჩეჩნური დიასპორის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, მექა ხანგოშვილს ესაუბრა.

რა საფრთხეს უქმნის ჩვენს ქვეყანას ჩრდილოეთ კავკასიაში არეულობა, რატომ იღუპებიან პანკისის ხეობის ახალგაზრდები სირიის ომში და რაზე ემადლიერებიან ჩეჩნები ქართველებს

— ქალბატონო მექა, რა პროცესებია ჩრდილოეთ კავკასიაში და როგორ აისახება ეს საქართველოზე?

— ჩრდილოეთ კავკასიაში მძიმე ვითარებაა. განსაკუთრებით, საქართველოს მოსაზღვრე რეგიონებში, დაღესტანსა და ინგუშეთში, დღე არ გავა ტერაქტისა და თავდასხმების გარეშე — ან ოპოზიციონერს კლავენ, ან მთავრობის წევრებს. არც ჩეჩნეთშია ადამიანი დაცული, რაც საქართველოზე ნეგატიურად აისახება.

— არსებობს საშიშროება, კონფრონტაციამ გლობალური ხასიათი მიიღოს და ქრისტიანები და მუსულმანები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ?

— კავკასიაში სარწმუნოების ნიადაგზე კონფლიქტები გამორიცხულია. ორივე ფუნდამენტური რელიგია, ქრისტიანობა და ისლამი, შემწყნარებლობით გამოირჩევა. გარეძალებმა რეგიონში ისლამის ექსტრემალური სახესხვაობა, ვაჰაბიზმი დანერგეს კავკასიელი ხალხების გახლეჩის მიზნით და ამაში, სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებთან ერთად, რუსეთის ხელი ურევია.

— ხშირად საუბრობენ ჩეჩნეთ-საქართველოს ე.წ. ანალოგიებზე. მართებულია შედარება და არსებობს საქართველოში მეორე ჩეჩნეთის, ანუ ცხელი წერტილის მოწყობის საშიშროება?

— რაღაც ანალოგები არსებობს... წინააღმდეგობაა როგორც საქართველოს, ისე ჩეჩნეთის მხრიდან. რუსეთი ქართველებსა და ჩეჩნებს მოიაზრებენ კავკასიაში ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგედ, თუმცა განსხვავებით საქართველოსგან, ჩეჩნეთი თვითაღიარებული რესპუბლიკაა და რუსეთი განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს მეტი მხარდაჭერა აქვს დასავლეთიდან და მეტადაა დაცული. ღმერთმა ნუ ქნას, აქ მეორე ჩეჩნეთი მოეწყოს. ისიც კმარა, ქვეყნის ტერიტორიების 20%-ია ოკუპირებული. ჩეჩნეთი კი ცივილიზებული სამყაროს გულგრილობის შედეგიცაა. ჩემგან ლამაზი არაა ჩეჩნების ქება, ტრაბახში ჩამეთვლება, მაგრამ ბრძოლის ტაქტიკა და სტრატეგია განსაკუთრებული აქვთ. ყველა ჩეჩენი მეომრად იბადება. ევროპულმა ქვეყნებმა დიდი საქმე გაგვიკეთეს, ჩვენი ახალგაზრდობა შეიფარეს, უზრუნველი ცხოვრება შეუქმნეს, მაგრამ მაინც გამორბიან და ტყეში პარტიზანებად იხიზნებიან. ბედნიერი ვარ, რომ იქ, ევროპაშიც, ჩეჩნები ჩეჩნურად ზრდიან მომავალ თაობას. ქართველებისგან განსხვავებით, ჩეჩნებს თავისუფლების გემო არ უგრძნიათ. მუდმივად იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის, გადარჩენისთვის, სამშობლოსთვის — ჩეჩნური ტრადიციები თაობიდან თაობას გადაეცემა. იარაღის სიყვარული, იარაღის მოხმარების სურვილი ბავშვობიდანვე აქვთ.

— კავკასიაში სომხებისა და ოსების სახით, ე.წ. მშვიდი მოთამაშეებია. მათ ლავირების პოლიტიკით გენოფინდიც შეინარჩუნეს და არც ტერიტორიები დაუკარგავთ. შეიძლება ითქვას, რუსეთს კავკასიის რეგიონში ერთიანი თამაშის წესები არ აქვს?

— ვერ დაგეთანხმებით. უფრო სწორია, თუ ვიტყვით, რომ რუსეთის ე.წ. საჭადრაკო დაფაზე კავკასიელი ერები საბრალო პაიკები ვართ, როგორც უნდა, ისე გამოგვიყენებს. დღემდე წარმატებით აგრძელებენ ერების წაკიდების ე.წ. პოლიტიკას. საშინელებაა, როცა გენოფონდი ნადგურდება. ომში საუკეთესო ვაჟკაცები იღუპებიან და ეს ტრაგედიაა. 1994 წელს მოკლეს პრეზიდენტი ჯოჰარ დუდაევი. როგორც ქართველმა მამულიშვილმა სოსო თორიამ შენიშნა, ჯოჰარისთანა ვაჟკაცები ათასწლეულში ერთხელ იბადებიან. ვინ მოთვლის, რამდენი საარაკო ვაჟკაცი დაიღუპა იმ 400-წლიან ბრძოლებში. ახლა კადიროვი „ჯახირობს“ საკუთარი ხალხის წინაშე, რაღაც რეაბილიტაციას მიაღწიოს. გროზნო ულამაზეს ქალაქად იქცა, მიუვალ სოფლებშიც კი შეიყვანეს გაზი, ხალხს მაღალი ხელფასები და პენსიები დაუნიშნეს, მაგრამ მეორე მხრივ, პუტინი კადიროვის სახით, მსოფლიოს ვითომდა უჩვენებს, ასეთი უკულტუროები და მდაბიოები არიან ჩეჩნებიო... ვიცი, როგორ ემადლიერებიან ჩრდილოეთ კავკასიელები ქართველებს ლარსის კორიდორის გახსნის გამო. ერთობაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნების მომავალი და ყოველთვის დავუჭერ მხარს კავკასიის ერთიანობის იდეას. ამბობენ, თითქოს, 2008 წლის 8 აგვისტოს ჩრდილოეთ კავკასიელებმა ქართველების წინააღმდეგ სისასტიკე ჩაიდინეს. ვერ დავიჯერებ, რადგან ბევრ ქართველს უთქვამს მადლობა პირადად ჩემთვის: კავკასიურმა ბრიგადა „ვოსტოკმა“ სიცოცხლე შეგვინარჩუნაო. სისასტიკე რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა ჩაიდინეს. არც აფხაზეთის ომში უთამაშიათ ჩეჩნებს ქართველების თავებით ფეხბურთი ეს რუსეთის მოგონილია. ჩვენ რელიგია გვიკრძალავს მიცვალებულის შეურაცხყოფას. ქართველის კი არა, მოსისხლე მტრის, რუსების გვამებიც არასოდეს დაუმცირებიათ ჩეჩენ მებრძოლებს. იცით, როგორ ექცევიან მოღალატეს ჩეჩნები? — აფხაზეთის ომის შემდეგ, ჩეჩნეთში მისვენებული შვილი მშობელმა არ დაიტირა, რადგან ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა. ერთხელ და სამუდამოდ, უნდა დაიმსხვრეს ქართველთა ცნობიერებაში ჩეჩნების სახით ჩანერგილი მტრის ხატი. ჩეჩნები ქართველებს არ ახსენებენ სტალინის, ბერიას, გვიშიანის, წერეთლის, ორბელიანისა და სხვა ქართველთა ხელით ვაინახების წინააღმდეგ ჩადენილ საკაცობრიო მნიშვნელობის დანაშაულებს, რაც ისტორიული ფაქტებია და არა „ლესელიძის მოედნის“ ტრაგედიის მსგავსი მითები. ახლა ბევრ საქმეს მოეხსნა გრიფი „საიდუმლო“. ინტერნეტშიც შეგიძლიათ ნახოთ, როგორ აჯილდოებს ბერია გვიშიანს იმის გამო, რომ მაღალმთიან აულ ხაიბახში, მისი ბრძანებით, 700 ჩეჩენი ქალი, ბავშვი და მოხუცი, მათ შორის, იმ დილით დაბადებული ტყუპი ძმები — ხასანი და ხუსეინი საჯინიბოში შეყარა და ცოცხლად დაწვა. არ იხსენებენ ამას ჩეჩნები, რადგან ესმით, რომ ამ ყველაფრის უკან „დიდი“ რუსეთი დგას.

— კოდორის ხეობაში რა ვითარებაა დღეს?

— პანკისის ხეობაში არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა. პანკისელი ქისტი ახალგაზრდები სირიის ომში ებმებიან. სამწუხარო ფაქტია, რომ ჩვენი ახალგაზრდები „სხვის“ ომში იღუპებიან.

— რატომ იღუპებიან ახალგაზრდა ბიჭები ჯიჰადის სახელით?

— პირველ რიგში, იდეოლოგიური ფაქტორის გამო. გასათვალისწინებელია ასევე განათლების დაბალი დონე და დასაქმების პრობლემა, რომელიც ასე მწვავედ დგას ხეობაში.

„გორგასლის“ ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამებს აკრედიტაცია მიენიჭა

რუსუდან შელია
557-100-768

17 ნოემბერს, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასალში“ სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში შეხვედრები გაიმართა სკოლის დირექტორებსა და აბიტურიენტებთანაც, რომლებმაც ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამების შესახებ. პარალელურად, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გამოცემული წიგნების პრეზენტაცია და სტუდენტების ფოტონამუშევრების გამოფენაც მოეწყო, რომელიც უნივერსიტეტის დარბაზში გამართული კონცერტით დასრულდა.

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასალში“ საბაკალავრო პროგრამები ფართოვდება. კერძოდ, უნივერსიტეტი „ტემპუსის“ მეექვსე კონკურსის გამარჯვებულ პროექტებში მონაწილეობს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კი, უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამებს აკრედიტაცია მიენიჭა. უნივერსიტეტის რექტორი **მზია ქათამაძე** აღნიშნავს, რომ „გორგასალში“ უცხოელებისთვის ქართულ ენაში მოსამზადებელი კურსიც გახსნილია, რომელიც დიდი ხანია წარმატებით ფუნქციონირებს: **„თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“ 1995 წელს დაარსდა. დაარსების დღიდან წარმატებით ფუნქციონირებს ეკონომიკის, ჯანდაცვისა და სამართლის ფაკულტეტები. მოგვიანებით, საბაკალავრო პროგრამას ინგლისური ფილოლოგიის, ასევე უცხოელებისთვის ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამა. უცხოელებს ქართულ ენას ვასწავლით“.** სხვათა შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვთ.

უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის, **კოტე აბულაძის** განცხადებით, „გორგასალი“ სტუდენტების დასაქმებითაა დაინტერესებული. ტურიზმის ფაკულტეტზე სტუდენტები უკვე ქმნიან ელექტრონულ რუკებს, რომელზე წვდომაც მსოფლიოს 40-მდე ქვეყანას აქვს: **„აქცენტი ორი მიმართულებით გაკეთდა: 1. ტურიზმი, რომელიც სახელმწიფოსთვის პრიორიტეტად გამოცხადდა. 2. ბიზნესადმინისტრირება, რადგან 21-ე საუკუნე მენეჯერების საუკუნედაა აღიარებული. რაც შეეხება ტურიზმის ფაკულტეტზე სწავლების მეთოდოლოგიას, ამ მხრივ ტექნოლოგიური ასპექტი გამოვკვეთეთ. სამწუხაროდ, დღემდე ტურიზმისადმი საბჭოთა კავშირისდროინდელი, ისტორიულ-გეოგრაფიული მიდგომაა შენარჩუნებული. ჩვენ კი თანამედროვე ტექნოლოგიებს ვანიჭებთ უპირატესობას და განსაკუთრებულ ყურადღებას სტუდენტების პრაქტიკულ საქმიანობას ვაქცევთ. ამასთან, მჭიდრო კავშირი გვაქვს დამსაქმებლებთან. უკვე შევქმენით ტურისტული მობილური აპლიკაცია, სადაც სხვადასხვა მარშრუტი ციფრულადაა გაცოცხლებული. მსგავსი ტექნოლოგია მსოფლიოს 40-მდე ქვეყანაში გამოიყენება და ახლა უნივერსიტეტ „გორგასლის“ სტუდენტებიც ჩაერთნენ — ქმნიან ელექტრონულ რუკებს. ბრაზილიაში საქართველოს ელჩმა დაგვირეკა, პროექტით აღფრთოვანებული იყო. საბედნიეროდ, თავად სტუდენტებიც დაინტერესებულნი არიან, ინფორმაციული საგნები მაქსიმალურად აითვისონ. ტურიზმი კი, ყველაზე პოპულარულ ფაკულტეტად ითვლება. აღსანიშნავია, რომ „გორგასალში“ სტუდენტური თვითმმართველობაც საკმაოდ აქტიურია. შემოქმედებითი საღამოების გარდა, სტუდენტები პრაქტიკულად ყველა სფეროში მონაწილეობენ მათ შორის აკადემიურ პროცესში. ისინი სასწავლო პროგრამების შედგენაშიც კი არიან ჩართულნი“.**

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის“ რექტორის მოადგილე **ზაურ ჯინჯოლავაც** აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი ე.წ. ბაზარზე მოთხოვნად ფაკულტეტებს აფართოებს და ამ მხრივ, აბიტურიენტებთან ინტენსიურად მუშაობს: **„გადავწყვიტეთ, ფაკულტეტები გავაფართოოთ — ვცდილობთ, ისეთი სპეციალობები დავამატოთ, რომლის კურსდამთავრებული დასაქმებას მარტივად შეძლებს. ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებს ვგულისხმობ. ახალგაზრდებში მოთხოვნადი პროფესიების დასადგენად კი, აბიტურიენტებთან მუდმივი კონტაქტი გვაქვს. სხვათა შორის, ბოლო პერიოდში, რამდენიმე მოსწავლემ ფილოლოგიის ფაკულტეტის მიმართ გამოამჟღავნა ინტერესი. ვიცით, შესაძლოა, ამ ფაკულტეტზე 10-მდე სტუდენტმა ჩააბაროს, მაგრამ ჩვენთვის მთავარი სტუდენტების სურვილია. შესაძლოა არ იყოს ბიზნესის კუთხით მომგებიანი, მაგრამ ახალგაზრდებს მივცემთ შესაძლებლობას, სასურველ პროფესიას დაეუფლონ“.**

ბერძენი მღვდელი ათენის მახლობლად, მამა გაბრიელის სახელობის ტაძრის აშენებას აპირებს

ვინ არის მამა იოანე (კერამიძისი), როგორ მოაწყო საბერძნეთის ტაძარში „პატარა საქართველო“ და რა სასწაულები მოავლინა იქ მამა გაბრიელის შესამოსელმა

პრესვიტერი მამა იოანე კერამიძისი

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

გიორგობის წმინდა დღესასწაულს, საბერძნეთში მყოფი ქართველების დიდი ნაწილი, აკროპოლში, 1944 წელს აშენებულ წმინდა გიორგისა და წმინდათა უვერცხლოთა სახელობის ეკლესიაში შეხვდება. იქ, სადაც ბერძენმა მამა იოანემ „პატარა საქართველო“ მოაწყო — ქართული ჯვრით, წმინდა ნინოსა და მამა გაბრიელის ხატებით, მამა გაბრიელის შესამოსლით... „აქ თითქოს ჩვენი სამშობლოა“, — ამბობს ნინო ფრუიძე, ქართველი ემიგრანტი საბერძნეთში, რომელიც არც პირველია და სამწუხაროდ, არც უკანასკნელი, ვინც განგებამ ნოსტალგიისთვის გაიმეტა. ნინო ფრუიძე, „ვერსიას“ ექსკლუზიურად უამბობს, როგორ უმსუბუქებს ქართველებს ემიგრაციაში ყოფნას ბერძენი მოძღვარი, ვინ უამბო მამა იოანეს ქართველების შესახებ, ვინ ჩაიტანა წმინდა ნინოს ხატი თუ მამა გაბრიელის უმკლავო პერანგი ათენში და რა სასწაულები მოუვლინა მრევლს სიწმინდეებმა.

მამა გაბრიელი — ემიგრანტების შემწე

წლების წინ, მამა გაბრიელს, ათონის მთიდან ბერები სტუმრობდნენ. სთხოვეს, ჩვენთან ჩამობრძანდით, თქვენი სტუმრობა გაგვაძლიერებსო. მამა გაბრიელმა ჩვეული სიმშვიდით უპასუხა: მე ჩემს ათონზე ვარ. არსად წამოვალ. ჩემი ათონიც და ჩემი იერუსალიმიც საქართველოაო. დღეს, საბერძნეთში მყოფი ქართველები ამბობენ, ბერი გაბრიელი მაინც ამობრძანდა აქ, აქაური ყოფა რომ შეგვიმსუბუქოს, ნოსტალგიისა და საყვარელი ადამიანების მონატრების აუტანელი განცდა გადაგვატანინოს, განსაცდელში მყოფ ქართველ ბიჭებს ძალა მისცეს და რწმენა გაუძლიეროსო... წმინდანი ბერძნების შემწეცაა — მათი, ვინც წირვა-ლოცვის შემდეგ, ქართველებთან ერთად გრძელ რიგში მოთმინებით დგას, რომ ბერი გაბრიელის ხატსა და მის უმკლავო პერანგს შეეხოს.

ყველაფერი დაახლოებით 6-7 წლის წინ დაიწყო. ემიგრანტმა ნინო ქარჩხაძემ, აკროპოლის გვერდით, მუზეუმთან, მაკრიანის უბნის, წმინდა გიორგისა და წმიდათა უვერცხლოთა სახელობის ეკლესიაში გარდაცვლილი შვილისთვის პანაშვიდის გადახდა განიზრახა. **„ეს პატარა, უგუმბათო ტაძარია. ბაზილიკასაც ვერ დაარქმევ. პრესვიტერმა (მღვდელი) მამა იოანე კერამიძისიმ შვილმკვდარ დედას გულისყურით მოუსმინა, ანუგეშა... დაინტერესდა მისი სახელით, რადგან საბერძნეთში „ნინო“ მამაკაცებს ჰქვიათ. ქალბატონმა ნინომაც უამბო საქართველოსა და წმინდა ნინოს შესახებ. მღვდელმა სთხოვა, თუ შეძლებთ, ოდესმე საქართველოდან წმინდა ნინოს პატარა ხატი მოაბრძანეთო“,** — გვიამბობს ნინო ფრუიძე და გვიმხელს, რომ იმ დღის შემდეგ მამა იოანემ საქართველოსა და ქართველების შესახებ ინფორმაციების მოგროვება დაიწყო. ჩვენი ისტორიითა და კულტურით აღფრთოვანებული მოძღვარი საბერძნეთში ქართველების საყვარელ სულიერ მამად იქცა, — **„ისე თბილად მიგვიღო, ისე ჩაგვიკრა გულში, ისე გვიმსუბუქებს აქაურ რუტინულ და მძიმე ყოფას, არც კი ვიცით, მადლიერება როგორ გამოვხატოთ“,** — ამბობენ მამა იოანეს ქართველი სულიერი შვილები.

დროთა განმავლობაში, ტაძარში წმინდა ნინოს ვაზის ჯვარიც მიაბრძანეს. მალე მამა იოანე მამა გაბრიელის ისტორიით დაინტერესდა და ტაძარს კიდევ ერთი სიწმინდე — მამა გაბრიელის ხატი შეემატა. მამა გაბრიელის სულიერმა შვილმა ნანა მერკვილაძემ კი ეკლესიაში წმინდანის უმკლავო პერანგიც ჩააბრძანა და მოგვიანებით, მამა იოანეს ინიციატივით, მამა გაბრიელის ცხოვრების შესახებ წიგნი ბერძნულ ენაზეც თარგმნა. ტაძარში, საბერძნეთში მცხოვრები 12 წლის ქართველი გოგონას მიერ დაწერილი მამა გაბრიელის ხატიცაა დაბრძანებული. ასე გაჩნდა ქართული კუთხე — „პატარა საქართველო“ ბერძნულ ეკლესიაში და ტაძრის მრევლის რიცხვიც საგრძნობლად გაიზარდა, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ხალხი არაერთი სასწაულის მომსწრე გახდა.

მამა გაბრიელის სასწაულები საბერძნეთში

18-19 წლის ბერძენი გოგონა, რომელსაც დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო, ტაძარში იმ იმედით მიიყვანეს, იქნებ, შვება იგრძნოსო, მაგრამ იმას ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გოგონა ყავარჯნებს სამუდამოდ დაემშვიდობებოდა. ერთ-ერთი წირვის შემდეგ მამა იოანემ მამა გაბრიელის ხატთან, ჯანმრთელობის პარაკლისი გადაუხადა. თვითმხილველები ამბობენ, პარაკლისის დასრულებისთანავე, გოგონამ ყავარჯნები მოისროლა და ნაბიჯი გადადგაო: **„ეს ნამდვილი სასწაული იყო. რაც უნდა მოგვეყოლა, ბევრისთვის შეიძლება დაუჯერებელი ყოფილიყო. ხომ იცით, გაგონილს ნანახი სჯობიაო. ბერძნები თავად გახდნენ ამ სასწაულის მომსწრე — გოგონა დღემდე ამტკიცებს, ფეხზე მამა გაბრიელმა დამაყენაო“.**

კიდევ ერთი სასწაული მამა გაბრიელის უმკლავო პერანგს უკავშირდება. ნინო ქარჩხაძეს ნაცნობმა ემიგრანტმა დაურეკა, ჩემს მულს, როზა სხირელს მოტოციკლი დაეჯახა, უგონოდაა, ექიმები გადარჩენის იმედს ვერ გვაძლევენ, საავადმყოფოდან უნდა გამოწერონ და იქნებ საქართველოში მის გადაყვანაში დამეხმაროო. **„შეწუხდა ქალბატონი ნინო. მამა იოანეს სთხოვა, იქნებ მამა გაბრიელის შესამოსელი და ხატი ერთი საათით გამატანოთო. დათანხმდა მღვდელი. ქალბატონმა ნინომ, პერანგი და ხატი უგონო ემიგრანტს გულზე დაადო და მამა გაბრიელს სთხოვა, 8 წელია ოჯახის წევრები არ უნახავს, მათი ნახვის შანსს ნუ გაუქრობ, გამოაჯანმრთელეო. ავადმყოფი, რომელიც მანამდე არაფერზე რეაგირებდა, ქალბატონ ნინოს ხელზე ჩაებღაუჭა, ნიშნად, რომ ესმოდა. ამ სასწაულმა ექიმებიც კი გააკვირვა. დღეს ეს ქალი ცოცხალია, საღ-სალამათი და ცხოვრებას ჩვეულ რიტმში აგრძელებს“,** — გვიამბობს ნინო ფრუიძე.

მამა იოანე და საბერძნეთში საქართველოს ყოფილი ელჩი დავით ბაქრაძე

რამდენიმე ქართველი გოგონა, ტაძარს მუდმივად სტუმრობს. ერთ საღამოს, მამა იოანე ადგილზე არ დახვდათ — მეუღლემ, პრესვიტერმა გეორგიამ ხელი მოიტეხა და მღვდელმა საავადმყოფოში წაიყვანა. გოგონები შინ გაბრუნდნენ. ღამით, ერთერთს მამა გაბრიელი გამოეცხადა — რატომ არ მოილოცეთ, მე ხომ იქ დაგხვდითო, უსაყვედურა.

ქალბატონ ნინოს, ღამის სასწაულად მიაჩნია, ქართველი ბიჭების ტაძრისკენ შემობრუნებაც. უმუშევრობის, ვალებისა თუ სხვა პრობლემების გამო, საზღვარგარეთ გადახვეწილი ახალგაზრდა მამაკაცებისთვის უცხოეთში სამსახურის შოვნა, არც ისე ადვილია. საიდუმლო არავისთვისაა, რომ ზოგი, არცთუ სასიამოვნო გარემოცვაშიც ხვდება. **„უნდა ნახოთ, ეს ბიჭები, როგორ ლოცულობენ და ევედრებიან მამა გაბრიელს, ძალა მისცეს, იმ ჭაობიდან ამოვიდნენ, რომელშიც ნებით თუ უნებლიედ, უკულმართი ცხოვრების, გაჭირვების, დაბნეულობის გამო აღმოჩნდნენ“,** — მომლოცველი ქართველი ახალგაზრდების შესახებ ემიგრანტი ქალბატონი ცრემლის გარეშე ვერ გვიამბობს. ემოციას მაშინაც ვერ ფარავს, როცა გვიყვება, წირვის შემდეგ, ქართველებთან ერთად, ბერძნები მოთმინებით როგორ ელოდებიან რიგს, რათა მუხლი მოიდრიკონ და წმინდანის ხატსა და უმკლავო პერანგს ემთხვიონ. მამა იოანესთვის კი ალბათ არანაკლები სასწაული მამა გაბრიელის მის ეკლესიაში მიბრძანებაა. უთქვამს კიდეც ერთხელ, ქადაგებისას, როგორი უბრალოც იყო ქართველი ბერი, ისეთ ტაძარში დაივანაო.

ათენის მახლობლად მამა გაბრიელის სახელობის ეკლესია აშენდება

მამა იოანე მეუღლესთან ერთად ტაძრის გვერდით, პატარა მიშენებულ ოთახში ცხოვრობს. მამა გაბრიელის პერანგსა და ზოგადად, იმ კუთხეს, რომლებსაც ქართველები პირობითად „პატარა საქართველოს“ უწოდებენ, მუდმივად იცავენ ქართველი ახალგაზრდები. ქართველი გოგონები, უსასყიდლოდ ალაგებენ ეკლესიას. არც ისე დიდი ხნის წინ, ტაძარში ანჩისხატიც მიაბრძანა „ანჩისხატის მომლოცველთა კრებულის“ ხელმძღვანელმა ზაზა ნანობაშვილმა. ხატით არაერთი ტურისტი დაინტერესდა. ქართველებმაც ცნობისმოყვარეობა დაუკმაყოფილეს — ხატის, საქართველოს, მამა გაბრიელის შესახებ უამბეს. მათ კი, ტაძარი მოილოცეს და მამა გაბრიელის შესახებ წიგნი სამშობლოში წაიღეს. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ მამა იოანესა და ნანა მერკვილაძეს, მამა გაბრიელის შესახებ წიგნების ინგლისურად თარგმნაც განუზრახავთ. მამა იოანემ კავკასიის ცენტრში ზაზა ნანობაშვილის ფილმიც ნახა სახელწოდებით — „დავბრუნდებით“. ქართულ ენაზე. „ამას თარგმნა არც სჭირდება. საოცარი ერი ხართ“, — ასეთი იყო ბერძენი პრესვიტერის პირველი რეაქცია. განსაკუთრებული შთაბეჭდილება კი მასზე ქართულმა გალობამ მოახდინა და ამიტომაცაა, წირვის დასრულების შემდეგ, ბერძნულ ტაძარში ქართული გალობა ხშირად ისმის. **„აქ ქართული სული ტრიალებს. აქ ჩვენი პატარა საქართველოა. დროდადრო სამშობლოში „დაბრუნების“ საშუალება გვეძლევაო“,** — ამბობენ ქართველი ემიგრანტები. არადა, ქართულად აღვლენილი წირვა მათთვის უცხო არ არის — თვეში ერთხელ, მამა აბიბოსი და მამა თეიმურაზი, წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიაში ქართულ ენაზე წირავენ, მაგრამ ბერძენი მღვდლისგან, ქართველებისა და საქართველოს მიმართ გამოვლენილი უსაზღვრო სიყვარული, ცოტა არ იყოს, უკვირთ. უკვირთ ისიც, რომ ქართველი მღვდლები ტაძარში არ მისულან და არ უნახავთ „პატარა საქართველო“ ათენის გულში. შეიძლება, ელოდნენ, რომ ქართული სიწმინდეების ტაძარში შეტანამდე, მამა იოანე მათგან კურთხევას აიღებდა, — ვითარებაში გარკვევას თავად ცდილობენ ემიგრანტები. სამაგიეროდ, ტაძრის შესახებ ინფორმაციას ფლობდა საბერძნეთში საქართველოს უკვე ყოფილი ელჩი დავით ბაქრაძე, რომელიც მამა იოანეს იცნობს და ალბათ პირადად მისგან ისიც იცის, რომ საქართველოდან საბერძნეთში ქართული ვაზის 15 ძირი ჩაატანინა, უნდა გავაშენო და ქართველებმა უპატრონონო. ვენახს ალბათ ათენიდან მოშორებით, 1 საათის სავალზე, კასტროს რაიონში გააშენებს — იქ, სადაც ბერძენი მამა იოანე, ღვთისმშობლისა და მამა გაბრიელის სახელზე, ტაძრის აშენებას გეგმავს. გეგმებზე წინასწარ არ საუბრობს, მაგრამ სულიერ შვილებთან საუბრისას ადასტურებს, რომ კასტროში ტაძრის აშენების იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც მის ტაძარში მამა გაბრიელმა დაივანა. ემიგრანტებს იმედი აქვთ, რომ უფლის შეწევნით, მამა იოანეს იდეა ფრთას შეისხამს და ისინი მალე ათენიდან მოშორებით, მამა გაბრიელის სახელობის ტაძარში მოილოცებენ. **„ეს დიდი მადლი და სიკეთე იქნება ჩვენთვის“,** — ამბობენ ემიგრანტები, რომელთა აზრით, მათი ნუგეშისმცემელი და სულიერი მოძღვარი, ბერძენი მამა იოანე, ზედმიწევნით ასრულებს მამა გაბრიელის ქადაგებას: **„იმისთვის ხარ ამქვეყანაზე, რაც შეიძლება ბევრი სიკეთე აღასრულო“.**

„პატარა საქართველო“ ათენის წმინდა გიორგისა და წმინდათა უვერცხლოთა სახელობის ეკლესიაში

1. თხევადი თავსაბანი საპონი
2. პროგრამირების ენა
3. ბავშვების ექიმი
4. გრენლანდიის მთავარი ქალაქი
5. მაუგლის მტერი
6. საფრანგეთის რეგიონი
7. დიფუტერიის ძველქართ. სახელწოდ.
8. სუსტი ქარი
9. ბრილიანტის წინაპარი
10. მდინარის კალაპოტის კლაკნი
11. ღმერთ იაჰვეს ერთ-ერთი ეპითეტი
12. ძაღლის ჯიში
13. აფრიკელი ხალხების შუბი
14. თხების ჯოგი
15. ორნამენტის შექმნა ქაღალდების დაწებებით
16. ჰორიზონ. შვერილი კედლის თავზე
17. სასწავლო დაწესებულება
18. უცხოელების მოძულე
19. „სათვალიანი“ გველი
20. იაპონელთა ჯიბის ყუთი
21. „საინფორმაციო“ ღრუ
22. კვების გარკვეული რეჟიმი
23. ბამბის უხეში ქსოვილი
24. ხმელთაშუა ზღვის საკურორტო ზონა
25. ფულის გამოძალვა მუქარით
26. მიწის საველე ნაგებობა
27. ლამაზად გაფორმებ. მოკოლადის კოლოფი
28. მუსიკალური გამის V ნოტი
29. ქვეყანა დასავლეთ ევროპაში
30. ქალაქი საფრანგეთში
31. საწერი მაგიდის სახეობა
32. დიდი ინგლისელი ფიზიკოსი
33. თუთიყუშის სახეობა
34. თვითმფრინავების სადგომი
35. ჩინური ტანვარჯიში
36. დიდი ქართველი მსახიობი მამაკაცი
37. ყველაზე პატარა თითი
38. ბებიის სახელწოდება აღმოსავლეთ საქართველოში
39. ქალის ძველრომაული სახელი
40. საამშენებლო მასალა
41. ზევსის დედა
42. ხალიჩის ძველი სახელწოდება
43. ნადირობის ქართველი ქალღმერთი
44. ქიმიური კავშირი
45. შავი ან რუხი ფერის ამოფრქვეული ქანი
46. რომის პაპის გვირგვინი
47. ლატვიის დედაქალაქი
48. სომხური გვარების წინსართი
49. მცენარეთა სამყარო
50. მტკიცე პირობა, აღთქმა
51. მთებთან დაკავშირებ. წინსართი
52. სამეურნეო მუშაკი
53. გერმანიის საუნივერსიტ. ქალაქი
54. გრამატიკის ნაწილი
55. დიდი ესპანელი მხატვარი
56. ბედუინების მოსასხამი
57. თანაბარი ანგარიში ჭადრაკში
58. კუნძ. კრეტის უმაღლესი მწვერვალი
59. მუსიკ. გამის III ნოტი

ᲪᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲘᲗ

ეგვიპტეში უღარიბესმა ოჯახებმა ფულის შოვნის ახალ მეთოდს მიაგნეს — მათ აქტიურად დაიწყეს ოჯახის წევრი გოგონების გამოყენება და ისინი ტურისტებისთვის მომსახურების ახალ სერვისად აქციეს. ახლა ეგვიპტეში ჩასულ მდიდარ უცხოელს, თარჯიმნისა და გიდის გარდა, შეუძლია „ცოლიც იქირაოს“. დროებითი ქორწინება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზეა გავრცელებული. ღარიბმა ოჯახებმა კი ეს ტრადიცია ფულის შოვნის ეფექტურ წყაროდ აქციეს. ცოლის დაქირავების მსურველები ეგვიპტეში, ძირითადად, არაბული სამყაროდან — საუდის არაბეთიდან, ბაჰრეინიდან, იორდანიიდან, ქუვეითიდან, ლიბიიდან და იემენიდან ჩადიან, ხოლო ეს სიამოვნება 320-დან 6 500 ევრომდე ჯდება, ფასი კი გოგონას გარეგნობით, მისი სინორჩით, კანის ხავერდოვნებითა და უბიწოებით განისაზღვრება. ოჯახსა და „ქირავნობის მსურველს“ შორის ისეთივე კონტრაქტი ფორმდება, როგორიც ტრადიციული ქორწინებისას და არც რელიგიურ მოთხოვნებს ეწინააღმდეგება. სამაგიეროდ, იურიდიული ძალა არ აქვს და მაშინვე ბათილდება, როგორც კი ტურისტი ეგვიპტეს ტოვებს. გოგონების მოძიებისას დიდ როლს ასრულებენ შუამავლები — ტაქსის მძღოლები და სოფლის ადვოკატები, რომლებიც ღარიბ რეგიონებში კარდაკარ დადიან და მშობლებს დროებითი ქორწინების უპირატესობაში არწმუნებენ.

ᲒᲐᲗᲑᲝᲑᲘᲡ ᲘᲐᲤ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ ᲛᲘᲐᲒᲜᲔᲡ

სახლში გაშლილი კარავი — ეს წლევანდელი ზამთრის კორეული მოდაა, რომელიც ღამით სითბოს შენარჩუნებისა და ელექტროენერგიის დაზოგვის საშუალებას იძლევა. ამ უჩვეულო სიახლის ზოგი მიმდევარი იმასაც ამტკიცებს, რომ კარვის მეშვეობით შეძლო გათბობის ხარჯის განახევრება — მაგალითად, თუ ოთახში ტემპერატურა 19 გრადუსია, კარავში ჰაერი 23 გრადუსამდე თბება. ერთი დღის განმავლობაში მოდას აყოლილმა 40 ათასმა ადამიანმა შეიძინა მოგზაურისთვის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი 37 დოლარად. შეიძლება ითქვას, ახლა სამხრეთ კორეაში კარვის შეძენა დასწრებაზეა. ამ ტურისტული მოწყობილობის ერთ-ერთი ადგილობრივი მწარმოებელი აცხადებს, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში 4 მილიონი კარავი გაყიდეს, ათასობით დაჯავშნილია და მწარმოებლები ლამის წელში წყდებიან, შეკვეთები რომ შეასრულონ. უცნობია, პირველად ვის მოუვიდა თავში ასეთი მშვენიერი იდეა, მაგრამ კორეელებმა მაშინვე გაიაზრეს მისი პრაქტიკული სარგებელი. ზამთარი სამხრეთ კორეელებისთვის საკმაოდ რთული იქნება, რადგან მთავრობამ 23 ატომური ელექტრობლოკის დახურვა გადაწყვიტა. ეს კი ნიშნავს, რომ ელექტროენერგიასა და გათბობაზე ხარჯი საკმაოდ გაიზრდება. ხალხი იაფ მეთოდებს ეძებს გათბობისთვის და როგორც ჩანს, ერთ-ერთ ასეთ გზას მიაგნეს კიდეც. კორეაში ახლა მთელი ოჯახი იძინებს საკუთარ ბინაში გაშლილ კარავში, სითბო რომ დაზოგონ, ზოგიერთებმა კარვები პირდაპირ სანოლზე გაშალეს, ზოგმა კი შუა ოთახში დადგა და ტელევიზორის საყურებლად მოკალათდა.

ᲖᲔᲤᲘᲠᲘ – ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲢᲙᲑᲘᲚᲔᲣᲚᲘ

სწავლულებმა ადამიანისთვის ყველაზე სასარგებლო ტკბილეული დაასახელეს. მათი თქმით, დღის განმავლობაში, 16-დან 18 საათამდე, სისხლში მნიშვნელოვნად იკლებს შაქრის დონე, რაც ადამიანის ენერგიასა და შრომისუნარიანობაზე უარყოფითად აისახება. მეცნიერები გვირჩევენ, ამ პერიოდში თავს დესერტით სიამოვნების უფლება მივცეთ, თუმცა მნიშვნელოვანია, რა ტკბილეულს აირჩევთ. ის არა მხოლოდ „უბრალო“ ნახშირწყლები უნდა იყოს, არამედ სასარგებლო ინგრედიენტებს შეიცავდეს. არგენტინელი დიეტოლოგები კი ამტკიცებენ, რომ სწორედ ასეთი დესერტია ზეფირი. 100 გრამ ტკბილეულში 300 კილოკალორიაა, რაც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა პირის ჩასატკბარუნებლებში. ზეფირი იმითაც გამოირჩევა, რომ მასში არ არის ცხიმები, მხოლოდ ცილა და ნახშირწყლებია და ამიტომ აღნაგობას არ ვნებს. მის დასამზადებლად შაქარს, კვერცხის ცილას, ხილფაფასა და ჟელესებრ ნივთიერებებს (ჟელატინს, აგარს ან პექტინს) იყენებენ. აგარი და პექტინი მცენარეული წარმოშობისაა, ორგანიზმიდან ტოქსინები, მძიმე მეტალები გამოყავს, აქვეითებს „ცუდი“ ქოლესტერინის დონეს სისხლში და ანტივირუსული თვისებებიც გააჩნია. სწავლულების თქმით, ჟელატინიანი ზეფირის მირთმევა განსაკუთრებით სასარგებლოა მოტეხილობისას ან ძვლის გაბზარვისას, რადგან აღმდგენი ეფექტი აქვს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲔᲯᲐᲜᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	5	8			9			
					1	6		5
2			6	5				
			3			1	2	9
		4				3		
3	2	7			6			
				3	4			2
8		2	7					
			9			4	5	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

			1					
6	3				4			
1		8	6			4		5
3	4		5	2				1
			9		3			
9				7	6		2	3
4		1			5	2		6
			2				1	9
					1			

ᲠᲗᲣᲚᲘ

				9		6		
	7		5		2			
	3	5	7			2		
			6		4		9	2
		1				8		
5	9		2		8			
		9			7	5	2	
			9		5		4	
		7		3				

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

				6		2		
9						1		6
			3	5				7
	7	9	6					2
				8				
3					4	9	1	
4				9	6			
2		6						4
		3		1				

გახდომაში იმპლანტი დაგეხმარებათ

შვეიცარიის ფედერალური ინსტიტუტის სპეციალისტებმა უნიკალური იმპლანტი შექმნეს, რომელიც წონის „აკრეფაში“ ხელს შეგიშლით, სიგნალების მეშვეობით, რომელიც მადას აქვეითებს. სიახლე უკვე გამოსცადეს მსუქან მღრღნელებაზე და, როგორც მკვლევარები აცხადებენ, ახალმა მეთოდმა, შესაძლოა, კუჭის ბანდაჟირების (დაპატარავების) ოპერაცია ჩაანაცვლოს. იმპლანტი ასობით უჯრედისგანაა დამზადებული და ერთ კაფსულაშია მოქცეული. გენ PPAR-ალფას მაღალი აქტიურობის წყალობით, უჯრედები რეაგირებს ცხიმზე სისხლის მიმოქცევის დროს და გამოათავისუფლებს პრამლინტიდს — ჰორმონალურ სიგნალს. სიგნალი კი ტვინს „აფიქრებინებს“, რომ კუჭი სავსეა. ამგვარად, მადაც ქვეითდება. სიგნალი ბუნებრივზე ძლიერია, რადგან ბუნებრივს შესაძლოა ხელი ბევრმა ფაქტორმა შეუშალოს, მათ შორის კერძის არომატმა. იმპლანტს კიდევ ერთი დადებითი თვისება აღენიშნება — არ გამოყოფს ჰორმონს, როცა სისხლში ცხიმის კონცენტრაცია იკლებს და შედეგად არ ირღვევა კვების რეჟიმი. თუმცა, სკეპტიკოსები ამბობენ, რომ უახლოეს პერიოდში ეს იმპლანტი, მიუხედავად ეფექტისა, ბაზარზე მასობრივად არ გამოვა.

მენთოლიანი სიგარეტი განსაკუთრებით საშიშია

მწეველს შორის ზოგი უპირატეობას მენთოლიან სიგარეტს ანიჭებს, თუმცა, ალბათ იმიტომ, რომ არ იციან, თამბაქოს ასეთი ნაწარმი განსაკუთრებული მავნებლობით გამოირჩევა და ფილტვებთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს პროვოცირებს. სტატისტიკის მიხედვით, მენთოლიანი სიგარეტის მოყვარულებს ხშირად სჭირდებათ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, ვიდრე ჩვეულებრივი სიგარეტის მწეველებს; გარდა ამისა, მენთოლს ანესტეტიკის ეფექტი აქვს, რის გამოც რთულდება ფილტვების დაავადებების დიაგნოსტიკა. სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, მენთოლის მოყვარულები ორჯერ მეტ სიგარეტს ეწევიან, ვიდრე თამბაქოს დანარჩენი მომხმარებლები (კვირაში 43 ღერი 26-ის წინააღმდეგ). თანაც, უმრავლესობა არ აპირებს ოდესმე მოწევისთვის თავის დანებებას. აღმოჩნდა, რომ მენთოლიან სიგარეტს უფრო მეტად ახალგაზრდა ქალები და შავკანიანები ეწევიან.

ანტიბიოტიკების ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲚᲡ ᲛᲘᲐᲒᲜᲔᲡ

ჰოლანდიელი მეცნიერები აცხადებენ, რომ ანტიბიოტიკების ალტერნატივას მიაგნეს — პირველი სატესტო ცდების შედეგები იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ფერმენტს შეუძლია მეტად საშიშ ისეთ ინფექციებთან ბრძოლა, რომელსაც მეტიცილინ-რეზისტენტული სტაფილოკოკი იწვევს; მეტიც, სწავლულები ამტკიცებენ, რომ ბაქტერიის რეზისტენტულობის ზრდის შანსი მცირეა, აღმოჩენა კი კომპანია Micreos-ს სწავლულებს ეკუთვნის. სტაფილოკოკის ბაქტერია რთულად განკურნებად და სიცოცხლისთვის საშიშ დაავადებებს იწვევს, როგორიც მაგალითად სეპსისი და პნევმონიაა. შარშან ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფმა განაცხადა, რომ ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადი ბაქტერიები ერთ-ერთ მთავარ საშიშროებას წარმოადგენს თანამედროვე ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ახალი პრეპარატი Staphefect ენდოლიზინის ფერმენტებს ეფუძნება, რომელიც ვირუსებში არსებობს და ბაქტერიებს ანადგურებს. კომპანია მასშტაბური კლინიკური ცდების ჩატარებას აპირებს, რის შემდეგაც, ალბათ, პრეპარატი ფარმაცევტულ ბაზარზე გამოჩნდება.

სიცილისთვის გადასახადი დააწესეს

ბარსელონას თეატრში, რომელიც იმპროვიზებულ სპექტაკლებზეა სპეციალიზებული, გადასახადის ორიგინალური სისტემა შემოიღეს — დაწესებულების ხელმძღვანელობამ ერთ-ერთ დარბაზში სავარძლის საზურგეები პლანშეტებით აღჭურვა, რომელიც მაყურებელს სპექტაკლის მიმდინარეობისას იღებს, ყოველი გაცინება კი ფიქსირდება კამერის მიერ სახეების ამოცნობის პროგრამით. წარმოდგენის დასრულების შემდეგ, იქ მყოფებს სიცილის რაოდენობის დათვლას სთავაზობენ, მერე კი სალაროსკენ მიეშურებიან. სიცილის ყოველი შეტევა 30 ევროცენტადაა შეფასებული. საშუალო თანხა, რომელსაც მაყურებელი ასეთი თეატრის სტუმრობის შემდეგ იხდის, 6 ევროს შეადგენს. წესების ამოქმედებიდან ყველაზე დიდი თანხა კი, რაც სიცილის მოყვარულმა გადაიხადა, 24 ევრო იყო.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5	2	1	8	7	4	6	3	9
6	9	7	3	5	2	4	1	8
4	8	3	1	9	6	5	7	2
3	7	8	6	4	1	2	9	5
1	6	2	5	3	9	8	4	7
9	5	4	2	8	7	1	6	3
2	1	9	7	6	5	3	8	4
8	4	6	9	2	3	7	5	1
7	3	5	4	1	8	9	2	6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	7	2	9	6	8	5	4	3
6	5	9	4	1	3	8	2	7
8	4	3	5	2	7	1	9	6
7	6	5	8	3	4	2	1	9
4	2	1	7	9	6	3	8	5
3	9	8	2	5	1	7	6	4
9	3	4	1	8	5	6	7	2
5	1	7	6	4	2	9	3	8
2	8	6	3	7	9	4	5	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	5	9	4	6	7	3	2	8
8	2	7	1	5	3	9	6	4
3	6	4	9	2	8	1	7	5
6	4	5	3	7	9	8	1	2
7	3	1	2	8	5	6	4	9
2	9	8	6	4	1	7	5	3
9	1	6	5	3	4	2	8	7
5	8	3	7	1	2	4	9	6
4	7	2	8	9	6	5	3	1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5	4	1	3	6	2	9	8	7
9	2	8	1	7	5	4	3	6
7	6	3	4	9	8	5	2	1
8	9	7	2	5	1	6	4	3
4	5	2	6	8	3	7	1	9
1	3	6	9	4	7	8	5	2
6	1	5	8	3	9	2	7	4
3	8	4	7	2	6	1	9	5
2	7	9	5	1	4	3	6	8

მე-10 გვერდი: 1. ბლოკადა; 2. ლოიოლა; 3. კაიმანი; 4. დაიმი; 5. დრეზინა; 6. რევერსი; 7. ზაზუნა; 8. ნიკე; 9. ჭირიმია; 10. კინეტიკა; 11. რინგი; 12. მეანდრი; 13. ავაზაკი; 14. „ენეიდა“; 15. ოლბრაიტი; 16. ებანი; 17. რენო; 18. ბალანსი; 19. აინი; 20. მირაკლი; 21. ოზმა; 22. დინარი; 23. ნარდი; 24. ნინია; 25. ობამა; 26. ნესესერი; 27. ლიე; 28. ზნე; 29. ინსი; 30. საბვეი; 31. სასა; 32. როლი; 33. ოჰაიო; 34. ტრიოდი; 35. ბრნო; 36. ბასილა; 37. ბუი; 38. ოინა; 39. ანი; 40. ეკი; 41. ვერსია; 42. ბუა; 43. ედო; 44. რაში; 45. ლა; 46. ვერდი; 47. ვაი; 48. მუსაიფი; 49. სუაჰილი; 50. „ჯეტა“; 51. გუშინ; 52. ფერე; 53. დიდრო; 54. პო; 55. დირე; 56. როდეო; 57. ფიგუ; 58. ლაყე; 59. დია; 60. ფრე; 61. ალეპო; 62. იდო; 63. ბრა.

მე-12 გვერდი: 1. რადიკულიტი; 2. ბაყაყი; 3. რეზულტატი; 4. დრაპი; 5. კაისა; 6. ბუსიდო; 7. ყევარი; 8. ყაშა; 9. აზდაკი; 10. არისა; 11. კეტი; 12. სავაში; 13. იზმირი; 14. იდეალი; 15. ლაიკა; 16. დეზი; 17. რტო; 18. იბისი; 19. დარი; 20. აიეტი; 21. პოინტერი; 22. რეა; 23. აყირო; 24. ბიუსტი; 25. ეშვი; 26. პიერ; 27. რაია; 28. ენცო ფერარი; 29. ვოდანი; 30. იგუანა; 31. კოლი; 32. ლეი; 33. ისტმენი; 34. სუიციდი; 35. ნაიკი; 36. არუე; 37. ლია; 38. გნუ; 39. სირანო; 40. გლასე; 41. „იოლანტა“; 42. „ნანა“; 43. იონა; 44. ოკა; 45. ტოგა; 46. ალთაი; 47. ფოლიანტი; 48. ფლანდრია; 49. აქუბარდია; 50. ომალო; 51. ლილუ; 52. იაგრი; 53. კეხადა; 54. ფრი; 55. ლაბა; 56. კეა; 57. კამორა; 58. ალენ; 59. „მანანა“; 60. ანა; 61. ქალა; 62. ინა; 64. რუბლი; 65. მიელიტი; 66. დარკი; 67. ეტნა; 68. სიტე; 69. „რომა“; 70. აბე; 71. ანოა; 72. ბაია; 73. ბონო; 74. აბიო; 75. დამა; 76. სარსუელა; 77. ბილბაო; 78. მადამ; 79. რური; 80. ასა; 81. ლევ; 82. საული; 83. ტომ; 84. ალიზი; 85. ტეკილა; 86. მასაი; 87. ჰიუ; 88. ავლი; 89. იგავი.

1. ნახატი ახლად შელესილ კედელზე
2. მოძრავი სხეულის ასხლეტა ზედაპირიდან
3. მონათა აჯანყების ბელადი
4. ერთგვარი ხილი
5. პატარა მტაცებელი ცხოველი
6. მადის შემცირება ან დაკარგვა
7. ჩვილი ბავშვის საწოლი
8. მოწმობა სკოლის დამთავრების შესახებ
9. ფილოსოფოსი ... კანტი
10. იაპონური თავსატეხი რიცხვებით
11. ჰოლივუდის ვარსკვლავი ვაინონა ...
12. იგივეა, რაც მოფერება
13. სახელმწიფოში შესვლის ნებართვა
14. ცისფერფოთლებიანი ხე
15. პარაგვაის ჩაი
16. ერთი წერტილი კამათელზე
17. კუზიანი კურდღელი
18. მეხსიერების ქალღმერთი და მუზების დედა
19. ძველი სკანდინავიური ეპიკური ლიტ. ძეგლი
20. რაიმე ნაკეთობის შემცირებული ნიმუში
21. ოლქის სახელწოდება უნგრეთში
22. მდინარე გერმანიაში
23. სუსტი ქარი
24. შემდგომში გადასახდელი დანახარჯი
25. გადაბრუნებული ბერძნული ასო დელტა
26. ამერიკის რევოლუციის სულისჩამდგმელი
27. ფრანგი მწერალი ... ზოლა
28. მოუხარშავი ან შეუწველი
29. კონტრრევოლუციური ამბოხება
30. ქართული ანბანის მე-17 ასო
31. არაწახნაგოვანი ძვირფასი ქვა
32. (ძვ.) ქალის გრძელი წამოსასხამი
33. ტროპიკული ხილი
34. აუქციონზე გასაყიდი ნივთი
35. თურქული ტელესერიალი „ქალბატონი ...“
36. გაეროს „ექსშეფი“ ... ანანი
37. სომალის დედაქალაქი
38. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
39. ამერიკელი მომღერალი ჯგუფ „თჰე ოორს“-ის ვოკალისტი
40. ხეკაკუნა ფრინველი
41. ინგლისელი მუსიკოსი დევიდ ...
42. იაპონური ავტომარკა
43. ტბა თბილისის შემოგარენში
44. მუხის ხის ნაყოფი
45. მოსაჩვენებელი მამაცობა
46. საარჩევნო „ყუთი“
47. ბავშვთა სასრიალო მარხილი
48. საფოსტო მარკების შეგროვება
49. პირობითი გამოსახულება, სიმბოლო
50. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
51. სამცხის მმართველთა ტიტული
52. ქსოვილის განიერი ოთხკუთხა ტომარა
53. ჩეხი პოლიტიკოსი ... ჰაველი
54. ძელის ღობე
55. ფუნჯიანი ქუდი წაკვეთილი კონუსის ფორმის
56. რუსი ჩოგბურთელი ქალი
57. გიტარის მავთული
58. ქალაქი ისრაელში
59. რაჭული ხალხური სიმღერა
60. მონარქიული ქვეყნების კავშირი
61. ჩრდილოეთის ირმების ზოგადი სახელწოდება
62. ტიბეტური ხარი
63. პატარა გამოქვაბული კლდეში
64. აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი
65. მარადონას ერთ-ერთი სახელი
66. ესპანელთა გრძელი დასაკეცი დანა
67. პატარა ტყე მინდორში
68. „სამეფო თევზი“, იგივე თრისა
69. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
70. მუსიკალური გამის V ნოტი
71. თვითმფრინავიდან ადამიანის გადმოსახტომი მოწყობილობა
72. დღეის მომდევნო დღეს ანუ როდის?
73. მდინარის ღრმა კალაპოტი
74. რომის იმპერატორი
75. ხრიკი, ფანდი
76. პატარა არხი
77. ცეცხლის მნათი ნაწილი
78. ფუტკრის სახლი
79. გაზაფხულის ყვავილი
80. იგივეა, რაც ზამში
81. მოკლე უვადო მოხრილი ხმალი
82. რუსეთის მრისხანე მეფე
83. ძველი ბერძენი
84. უკრაინელი პოლიტიკოსის, ტიმოშენკოს სახელი

განქორწინება შვეიცარულად

დღეს შვეიცარიაში მეტად პოპულარული გახდა ონლაინ-სერვისები, რომელიც რამდენიმე დაწკაპუნებით განქორწინების შესაძლებლობას იძლევა, თითქმის ისევე, როგორც ნივთის ინტერნეტ-მაღაზიაში ყიდვისას. ინტერნეტის დახმარებით განქორწინება უფრო იაფი ჯდება, ვიდრე რეალურ პროცესში მონაწილეობა და დოკუმენტებიც გაცილებით სწრაფად ფორმდება. როგორც ერთ-ერთი შვეიცარიული ეკონომიკური გამოცემა წერს, ონლაინ-განქორწინების პირველი საიტები ჯერ კიდევ 2007 წელს გაჩნდა. გახსნის დღიდან ჩვენ ათასობით ადამიანს დავეხმარეთ, — ამბობს ერთ-ერთი ასეთი ინტერნეტ-გვერდის წარმომადგენელი. სასამართლო ხარჯი და ონლაინ-განქორწინების ღირებულება შვეიცარიის სხვადასხვა კანტონში განსხვავებულია, მაგრამ მთლიანობაში, ჩვეულებრივ პროცედურაზე სამჯერ ნაკლები ჯდება. ამ პოპულარული ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ მომსახურებას სასამართლო სრულად აღიარებს. გაყრის ონლაინ-სპეციალისტები კლიენტების უკმარისობას არ განიცდიან, რადგან ქვეყანაში ყოველი მეორე წყვილი შორდება.

გაზეთი „ვერსია“ სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს. საკონტაქტო პირი მაია ფურცელაძე. ტელ: 599 62 88 77

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.